პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТИ ГАМОДИС 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 218 (19954) ოთხშაბათი, 16 სექტემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სადღეისო საზრუნავი

საკვებს ზამთარში არ უნდა ვეძებდეთ!

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ცენტრის ცნობით, 7 სექტემბრისათვის ბუნებრივი და ნათესი ბალახები საგეგმო 464 040 ჰექტარის ნაცვლად გათიბულია 324 096 ჰექტარი, შარშან კი გათიბული იყო 350 959 ჰექტარი. ნამჯა დამზადებული და დაზვინულია 111 770 ჰექტარზე, რაც დავალების 91 პროცენტია, შარშან კი ეს სამუშაო 118 796 ჰექტარზე იყო შესრულებული; ნაცვლად 760 000 ტონისა დამზადებულია 408 485 ტონა თივა. სენაჟი, ნაცვლად 410 000 ტონისა — 618 680 ტონა, ნამჯა — ნაცვლად 400 000 ტონისა — 22 602 ტონა; სილოსის ჩადების დავალება შესრულებულია 29 პროცენტით, ბალახის ფხვნილის დამზადებისა — 68 პროცენტით.

მიმოხილვას ხშირად დადებითი ფაქტებით ვიწყებთ ხოლმე, მაგრამ ამჯერად ზემოთ მოყვანილი ციფრები საქმეგად ვერავის განაწყობს, რამეთუ, სენაჟის გარდა, პირუტყვის საკვების დამზადების საქმე ერთობ არასახარბიელოა, ზამთარი კი კარს მოგვადგა და მისი მოახლოება წესრიგიან შუშაკს სულსა და გულს უნდა უფორიაქებდეს. ვინ არის აფორიაქებული და ვინ არა, ამის დადგენა ძნელია. ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ საკვების დამზადების საქმეში ჩამორჩენილი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ მეურნეობათა წინამძღოლებს, საკვებმომპოვებლებს ერთხელ კიდევ შევახსენოთ სკკ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მითითება იმის თაობაზე, რომ პირუტყვის ნორმალური გამოზამრება უხვი და ყუთიანი საკვების მომარაგებაზეა დამოკიდებული.

ამას წინათ ის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა და მიიღო დადგენილება 1987-1988 წლებში პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების მიმდინარეობისა და მისი ორგანიზებული განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

მთელი რიგი რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა გაითვალისწინეს წინა გამოზამთრების დროს გამოვლენილი ნაკლოვანებანი და დროულად დაიწყეს მომავალი გამოზამთრებისათვის მზადება.

მაგრამ მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საკვების მომარაგების საქმეები. 7 სექტემბრისათვის მთლიანად რესპუბლიკაში დამზადებული იყო 1 239 767 ტონა უხეში საკვები, ანუ საგეგმო დავალების 79 პროცენტი, მარშან ამ დროისათვის კი 1 375 121 ტონა საკვები იყო დამზადებული — საგეგმო დავალების 90 პროცენტი. განსაკუთრებით ჩამორჩენიან აფხაზეთის ასსრ, ვანის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მახარაძის, მაიაკოვსკის, მესტიის, ონის, ორჯონიკიძის, ხობის, ცაგერის, წალენჯიხის, წულუკიძის, ცხაკაიას, ჩოხატაურის რაიონების საკვებმომპოვებლები, სადაც უხეში საკვების მომარაგების გეგმა სანახევროდაც კი არ არის შესრულებული.

გეგმის შესრულება რომ შეიძლებოდა, ამას ამტკიცებს ადგენის, ახმეტის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, კასპის, ლაგოდეხის, მცხეთის, საჩხერის, სიღნაღის, თელავის, თეთრი წყაროს, ხაშურის რაიონების საკვებმომპოვებელთა მაგალითი. ამ რაიონებმა უხეში საკვების დამზადების გეგმა გადამეტებით შეასრულეს. ყველაზე ბევრი საკვები დაამზადეს სიღნაღის (91910 ტონა), გარდაბნის (75 184 ტონა), თეთრი წყაროს (47 373 ტონა), გორის (41 872 ტონა), გურჯაანის (34 951 ტონა) რაიონებმა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რაიონებმა შარშანდელთან შედარებით მეტი საკვები მოამარაგეს.

თივის დამზადების გეგმა რესპუბლიკაში მხოლოდ 53 პროცენტით არის შესრულებული და ამაში უმთავრესად ბრალი მიუძღვით აფხაზეთის ასსრ, ტყიბულის ზონის, ადიგენის, ასპინძის, ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, დმანისის, დუშეთის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მახარაძის, მარნეულის, მესტიის, ონის, ხობის, წალკის, ცაგერის, წალენჯიხის, წითელწყაროს, წულუკიძის, ცხაკაიას, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს რაიონებისა და ყიზლარის ზამთრის საძოვრების საკვებმომპოვებლებს; კრიტიკა უშუალოდ ეხებათ ყიზლარის ზამთრის საძოვრებით მოსარგებლე დუშეთის, ყაზბეგის, ლენინგორის, თიანეთისა და ჯავის რაიონების საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს. საძოვრების მართვის გაერთიანება კი არ ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს საკვები რესურსების შესავსებად. ჩამორჩენილი რაიონების პარტიის რაიკომებს, რაისაბჭოს აღმასკომებს, აგროსამრეწველო გაერთიანებებს ეტყობათ მხედველობიდან გამორჩათ თავის დროზე ეზრუნათ თივის დასაგროვებლად. ეს საქმე ძირითადად გვალვების დაწყებამდე უნდა მოეგვარებინათ. ახლა დანაკლისი სხვადასხვაგვარი რესურსებით უნდა შეავსონ.

რესურსები არის, ოღონდ მათ ძებნა უნდა. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ბორჯომის რაიონის სოფელ წაღვერის კოლმეურნეობაში შეიცვალა თიბვის ორგანიზაცია, შეიქმნა ხუთი საიჯარო ბრიგადა, რომლებთანაც გამეგობამ ხელშეკრულებები გააფორმა. ამან თავის მხრივ გააუმჯობესა წვნიანი საკვების დამზადების ტემპი. რაც შეეხება თივას, აქ დასახმარებლად მოვიდნენ შეფები — სხვადასხვა ორგანიზაციისა და დაწესებულების კოლექტივები.

— ჩვენთან თივის დამზადება დიდ შრომითს დანახარჯებთან არ დაკავშირებული, — თქვა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ კ. გონგაძემ, — ვინაიდან მექანიზაციის საშუალებათა გამოყენება, ადგილობრივი რელიეფის სირთულის გამო, მეტად შეზღუდულია, ამიტომ სხვათა დახუბმარებლად ძალიან გავიჭირდებოდა.

მწვანე ალოობის პირველსავე დღეს გამოვიდნენ მინდვრად წაღვერის მცენარეთა დაცვის ლაბორატორიის, სატყეო მეურნეობის, № 29 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის, საშუალო სკოლის, პანსიონატ „ეჩხობის“ მუშა-მოსამსახურეები. ამის შედეგად უკვე დამზადებულია 200 ტონაზე მეტი თივა, ხოლო 300 ტონიანი სასენაჟე ორმო უკვე სავსეა მაღალხარისხოვანი საკვებით.

სენაჟის დამზადების გეგმები ყველა რაიონმა შეასრულა; ეს კარგია, მაგრამ პირუტყვს ხომ სხვადასხვანაირი საკვები სჭირდება, რათა ზამთარშიც არ შემცირდეს წველადობა.

უხეში საკვების რესურსები არის, მას გონივრულად, გულისხმიერად უნდა ვიყენებდეთ. ახლა სიმინდის მოხავლის აღების დროა. სიმინდის ჩალა უკლებლივ უნდა შევაგროვოთ; ამასთან აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ რაიონს საკმაოზე მეტი ნამჯა აქვს. მათი დახმარებით დაუყოვნებლივ უნდა ისარგებლონ იმათ, ვისაც უხეში საკვები აკლია. მათ ნამჯა ფერმებთან დაზამორებამდე უნდა მოზიდონ და დაზვინონ.

სოფლად ახლა ყველას კარგად მოეხსენება, რომ სილოსი „უყბოინი“ საკვებია, მაგრამ ბევრგან თავის დროზე არ იზრუნეს სასილოსე და სანაწყარალო კულტურების თესვასა და ნათესების მოვლა-პატრონობაზე. ამიტომაც სილოსის დამზადება ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობს, გეგმა ჯერჯერობით 29 პროცენტით არის შესრულებული. მართალია, შემოდგომაზე უამრავი სამუშაოა მოძალებული, მაგრამ სასილოსე მასის აღება და ჩადება გადაუდებელი საქმეა, და მას როგორც პარტიულმა, ისე საბჭოთა ორგანოებმა, განსაკუთრებით კი აგროსამრეწველო გაერთიანებებმა, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა შეუნელებელი ყურადღება უნდა დაუთმონ. საკვები მასა მინდვრად არ უნდა დარჩეს. ამასთან დასილოსების ტექნოლოგია უზადოდ უნდა შეავასრულოთ.

ბალახის ფხვნილის წარმოების გეგმებს ვერ ასრულებენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახმეტის, საგარეჯოს, წალკის, წითელწყაროს და სხვა რაიონების საკვებმომპოვებელი. გეგმის შესრულება შესაძლებელი რომ იყო ამაზე მეტყველებს სიღნაღის, მცხეთის, გურჯაანის, ზესტაფონის, თეთრი წყაროს რაიონების მაგალითი. მათ გადაამეტეს საგეგმო დავალებას. ეს იმიტომ, რომ აქ თავის დროზე იზრუნეს ბალახის ფხვნილის დამზადებისათვის.

იმედი გვაქვს, პარტიის სასოფლო რაიკომების, რაისაბჭოს აღმასკომების, აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელი მუშაკები ენერგიასა და უნარს არ დაიშურებენ, რათა თავი დააღწიონ ჩამორჩენას, ხოლო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკვებმომპოვებლები ყველაფერს იღონებენ, რათა უხვად მოიმარაგონ საკვები პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის, დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულონ საკვების დამზადების გეგმები.

ვ. მინდელი.

კაშხალმა ნიშნულს მიაღწია

ენგურჰესი სრული სიმძლავრით ამოქმედდა

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსის სახელმწიფოსთვის ჩაბარებამდე ცოტა დროღა დარჩა. მისი თაღოვანი კაშხალის ტანში ბოლო კუბური მეტრი ბეტონი ჩაისხა. ბოლო კუბური მეტრია, ვამბობთ, იგი კი, არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად მეოთხე მილიონია. ნაგებობის სიმაღლე ხომ 271,5 მეტრია. უზარმაზარ წყალსატევში თანდათანობით იმატა დონემ და პროექტით ნავარაუდევ ნიშნულს გაუთანაბრდა.

კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაიწერა ენგურჰესის მშენებლობის ისტორიაში. უკან დარჩა მშენებლობის ძირითადი ეტაპები, თუმცა მეორე რიგის სამუშაოები საკმაოდ არის დარჩენილი.

რა არის კიდევ გასაკეთებელი? ეს იყო ჩვენი პირველი შეკითხვა, რომლითაც მივმართეთ მაღლივი კაშხალის მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინრის პირველ მოადგილეს თემურ სხილაძეს.

— კაშხალის ქიმზე გასაყვანია ფართო საექსპლოატაციო სამანქანო გზა ორმხრივი ტროტუარებით, მის „ტანში“ უნდა დავამონტაჟოთ ლიფტი, სავენტილაციო, წყალმომარაგების, კანალიზაციის კვანძები.

— საინტერესოა, სად და ვინ ამოავსო ბოლო კუბური მეტრი ბეტონით?

— ეს მოხდა 22-ე ბლოკზე. საიუბილეო და დამამთავრებელი ბეტონის ჩასხმის საპატიო მისია წილად ხვდა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული მეორე უბნის იმ ბრიგადას, რომელსაც გ. ნადარაია ხელმძღვანელობს. ბრიგადირთან ერთად ამ „ცერემონიალში“ მონაწილეობდნენ კვანძზე მომუშავე სხვა სუბმოჯარე ორგანიზაციათა მოწინავე მშენებლებიც.

კაშხალის ორივე სანაპიროს თხემიდან, ხეობის გაყოლებით უჩვეულო სურათი იშლება. მოთვინიერებული ენგურის ზედაპირი თვალსმომჭრელად ლივლივებს. გგონია, დაიხრები და ხელს ჩაყოფ წყალში. არ იგრძნობა მაცდუნებელი სიმაღლე, რომელიც შორიდან პირველი შეხედვით გაოცებს.

— რამდენი კუბური მეტრი წყალია ახლა საცავში? — ვეკითხებით ენგურჰესის კასკადის დირექციის ჰიდროტექნიკური საამქროს უფროსს ვ. დიმიტრეევს.

— დაახლოებით მილიარდ ასი მილიონი, — გვიპასუხა მან, — ბოლო ეტაპის საშუალედო ნიშნულიდან აჭამდე წყლის ამოყვანას ზუსტად ორი თვე დასჭირდა.

რით დავიწყეთ, რა იყო და რა არის? ბუნებრივად მოგინდება კაცს წარსული თვალის გადავლება. პირველი კუბური მეტრი ბეტონი ენგურჰესის კაშხალში 1971 წლის 14 დეკემბერს ჩაისხა, ხოლო თვით კასკადის მშენებლობა უფრო ადრე — 1961 წლის გაზაფხულზე დაიწყო. მას შემდეგ მეოთხედ საუკუნეზე მეტმა განვლო. ახლა, ამ დიდ გზაზე ბოლო აკორდი დაიწყო. რამდენი შრომა, მონდომება, შემართება და ინჟინრული აზრის გაქანება გახდა საჭირო, რომ ადამიანის ჩანაფიქრს, მის მისწრაფებას და ნიჭს გაეძარჯვა.

დღეიდან ენგურის ჰიდროელექტროსადგური სრული სიმძლავრით მუშაობს!

სახელოვანი შრომითი ესტაფეტა კასკადის მომდევნო საფეხურმა — ხუდონიჰესის მშენებლობამ ჩაიბარა. კაშხალის ქვაბულში ინტენსიურად ისხმება ენგურის მტკიცე და საიმედო ჰიდროტექნიკური ბეტონი.

ვ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გარდაქმნის ღაშქარი

1. ...მე უფრო ლამაზი მინდა!

დიდი ცხოვრების გზასავალი მისთვისაც, როგორც ბევრი მისი თანატოლისათვის, „უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდებით დაიწყო. სამედიცინო ინსტიტუტში აბარებდა. არაფერი გამოუვიდა. „უფრო ღირსეულები ჩაირიცხნენო“, ამბობს. პროტექტორიანები კი არა, ღირსეულებიო. საკუთარი „პრესტიჟის“ დაცვის იაფფასიანი საშუალებისათვის არ მიუმართავს. აი ეს ობიექტურობის გრძნობა თუ სამართლიანობის შინაგანი მოთხოვნილება, იმთავითვე რომ ახასიათებდა, ბევრჯერ გამოადგა მერეც, უკვე სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ თავისი სოფლის — წითელწყაროს რაიონის ქვემოქედის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობას რომ დაუბრუნდა და ჯერ რიგით წევრად მუშაობდა, მერე ენტომოლოგად, მერე — კომკავშირულ ლიდერად. დღეს კი დავით ხუმარაშვილი № 5 /მევენახეთა ბრიგადის ხელმძღვანელი/. დაუსწრებლად ისწავლა. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი დამთავრა.

როგორც სამუალო რგოლის ხელმძღვანელს, კოლექტივში ყველაზე უმთავრესად რა მიგაჩნიათ-მეთქი, რომ ვკითხე, ერთსულოვნებაო, მიპასუხა. (ეს ჯერ კიდევ მაშინ იგრძნო ერთობ ხელშესახებად, სოფლის ახალგაზრდებს რომ თავკაცობდა. და საერთოდ, ადამიანებთან შუამობის მაშინდელი გამოცდილება მერეც დიდად გამოადგა).

კომკავშირულ-ახალგაზრდულ მაბრიგადამ, რა საქმესაც ხელი მოჰკიდა, ყველა წაღმა მოატრიალა. სამი წელიწადი ზედიზედ იმარჯვებდნენ ახალგაზრდულ კოლექტივებს შორის გაშლილ რაიონულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. არავითარ სიძნელეს არ ეპუებოდნენ. იმ დროიდან მოდის ის საინტერესო ტრადიციაც, სოფლის ახალგაზრდები რომ მისდევენ: რთველის დროს დღე და ღამე ზვარში არიან ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ღამე საკუთარი ხელით გაშლილ კარვებში სჭინავთ, ადილამდან დაბინდებამდე მუშაობენ. დღეში თითოეული მათგანი ტონას კრეფს. ქალმვილებს ფიზიკურად ვაჟაკაცებისოდენა ხომ არ შეუძლიათ და ისინიც, ბიჭები, საკუთარ ნორმას რომ შეასრულებენ, მათ ეხმარებიან, ასე რომ, დღეში თითო ტონა ყველას გამოუდის. (ხედავთ? რაინდობის ნოსტალგია ყოველთვის და ყველგან როდი იგრძნობა). მერე გართობასაც არ იკლებენ, ტელევიზორი, მაგნიტოფონი, კინო — ყველაფერს თავისი დრო აქვს. წელს ოცდახუთი კაცი უკვე დაბანაკდა (ისევ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ზვრებში, ერთი ამდენი მსურველი კიდევ არის. თითქოს გუშინ იყო, ისიც მათში რომ ტრიალებდა, ახლა თავისი საქმე აქვს, ბრიგადაში ყოველ დღეს თავისი საზრუნავი მოაქვს.

ეს საზრუნავი, ეს პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გაიზარდა, რაც საიჯარო მეთოდით მუშაობაზე გადავიდნენ. ყოველდღიური აღრიცხვაო საჭირო, კარგმა მეურნემ სულ უნდა იცოდეს როდის, სად, რამდენი ორგანული თუ მინერალური სასუქი ან შხამქიმიკატი დახარჯა, რანაირი სამუშაო შესრულდა, ვინ რა გააკეთა. უამისოდ ფონს ვერ გახვალ.

მთავარი კოლექტივში ერთსულოვნებაა, რომ ამბობს, ახალი მეთოდით მუშაობამ სწორედ ამ ერთსულოვნებას შეუწყო ხელი. ბრიგადის თხუთმეტი წევრი მუდამ ერთმანეთის სამუშაოს ადევნებს თვალყურს, სხვაგვარად არ იქნება, საბოლოო შედეგი შესრულებული სამუშაოს ხარისხზეა დამოკიდებული. თუ ვინმემ უნებლიეთ წაიფორთხილა, ხელს შეაშველებენ, მხარში ამოუდგებიან, რათა საერთო საქმე არ წახდეს. აი ეს ჯანსაღი კოლექტივიზმი, ადამიანებისათვის ურთიერთთანადგომის სურვილის გაღვივება და ჩვენის გამომუშავება იმაზე ნაკლები როდია, ვიდრე რამდენიმე ტონით თუ ცენტნერით მეტი მოწეული მოსავალი.

რა ძნელად დაიჯერეს! ყველაზე მეტად ის არ სჯეროდათ, დანაზოგის 70 პროცენტს თვითონ რომ მიიღებდნენ პრემიის სახით. სამაგიეროდ გადახარჯულის კიდევ 100 პროცენტი ისევ ბრიგადას ეწერება ხარჯად. ვინღა მოიქცევა უყაირათოდ? არა, არც მეტისმეტს ვზოგავთ. მთავარი ხომ საბოლოო შედეგია. წელს, მაგალითად, ვენახი ათის ნაცვლად რვაჯერ შევწამლეთ. მეტი ნაღდად არ იყო საჭირო. არის თუ არა ეს დანაზოგი?

შარშან ბრიგადის წევრებმა წლიური შემოსავლის — ორი ათასი მანეთის გარდა პრემიის სახით თითოეულ გამომუშავებულ მანეთზე მანეთი და 30 კაპიკიც! თითქოს მართვა უფრო მრავალწახნაგოვანი გახდა. ადრე ზოგჯერ სპეციალური ეკონომიკური განათლების უქონლად, მხოლოდ გამჭრიახი პრაქტიკოსის ალღოთიც შეიძლებოდა ფონს გასვლა. დღეს — ვეღარ, ახლა ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილება? ორმოცდაათიანი წლების ახალგაზრდობას ახლანდელ პირობებზე ხომ მხოლოდ ოცნება შეეძლო. დღევანდელებს ესეც აღარ აკმაყოფილებთ. ასეა, ცხოვრება წინ მიდის...

— თქვენი ყველაზე დიდი სურვილი?

— ჩემი სოფელი მანახა კიდევ უფრო გაზრდილი, გაშლილი, გალამაზებული, გაძლიერებული. არა, საკმაოდ ღონივრები ვართ ოთხმილიონნახევრიანი ბიუჯეტით. ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ხომ იცით, „მე უფრო ლამაზი მინდა“. **ჩვენ უკიდურეს აღმოსავლეთში ვართ, აქ მთავრდება საქართველო...**

დათოს გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ვგრძნობ, ეს „წმინდა საგზეთო“ სულაც ჰგავს. ვიცი რა ყველა მამაკაცის ნალოლავები ოცნება...

— დავიჯერო, ბიჭის მამობა არ გინდათ? (ჯერ უცოლშვილოა).

პირველად გაიღიმა მთელი ჩვენი საუბრის მანძილზე, თბილი, შეკავებული ღიმილით, თითქოს საფეხებში გამოხვეული ჩვილი დააჭერინეს პირველად ხელშიო, ბიჭის დაბადებას რომ მიახარებენ, უფრო ლაღად გაიცინებს ალბათ...

— რა თვისებას ისურვებდით თქვენი შვილისთვის უპირველესად?

— **სიყვარულის უნარს. მინდა უყვარდეს ყველაფერი ირგვლივ — ადამიანი, სამშობლო, ხე, ბალახი, მუსიკა...**

ძალიან ცუდია, ეს უნარი თუ არა აქვს კაცს. სიყვარულით გაკეთებული საქმე სულ სხვაა, ვალის მოსახდელად გაკეთებული — სხვა.

— მიწის ნაღდი სიყვარული შეიძლება?

— **როგორ არა, როგორ არა...**

— ეს პირველი შემთხვევა იყო მთელი საუბრის მანძილზე, როცა დაუფიქრებლად მიპასუხა; სხვა ყველაფერზე ფიქრობდა, მოუზომავად არაფერს ამბობდა — **იცით, რა ძლიერი მიზიდულობის ძალა აქვს როგორ არ უნდა გიყვარდეს როცა ხედავ, მოუვლი — ათმაგად გიფასებს, უხვად გიხდის ნაჯაფარს. მოსავალს აიღებ, მოხნავ, მოასწორებ, სხვა რამეს დათესავ, ორიოდე თვე და ისევ მოსავალი. ამ ზაფხულს, იცით, რა გვალვა იყო? წვეთი ნამი არ ჩამოვარდნილა. ძალიან მიეხედეთ მიწას, თავის დროზე კულტივაცია არ მოვაკელით. შეინარჩუნა ამ დალოცვილმა საჭირო ტენი. ჩვენს მოსავალს რომ შეხედოთ, ვერ იტყვით, უცვარნამოდ მოსულიაო. აგრე მგონია, რაღაც უხილავი ძალებია გაბმული მიწას და კაცს შორის. მიწის შვილები ვართ მაინც...**

— ადამიანის სიყვარული იოლია?

— **არა. ადამიანი რთულია. უნდა გქონდეს უნარი ყველა მხრივ შეისწავლო იგი, ჩასწვდე ბოლომდე და ისე მიიღო თავის დადებით-უარყოფითიანად, ისეთი შეიყვარო, როგორიც სინამდვილეშია და არა ისეთი, როგორიც შენ გინდა რომ იყოს. აი მე ადამიანის ამგვარი სიყვარულის მომხრე ვარ. ეს კი იოლი არ არის. საერთოდ კი... კარგი ვინმეა ადამიანი, კარგი. მაგრამ იცით? ზოგჯერ რომ დავფიქრდები ხოლმე, რაღაც თითქოს კიდევ უკეთესი მინდა იყოს...**

გალინა ხარებაშვილი.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის მ. კუხაშვილის ნახატი.

დავით ხუმარაშვილი წითელწყაროს რაიონის ქვემო ქედის კოლმეურნეობის კოლექტივის ერთ-ერთი წევრია, კოლექტივისა, რომლის მუყაითი გარჯასა და მის სასიკეთო შედეგებზე მოგითხრობთ ჩვენი გაზეთის მეორე გვერდზე გამოქვეყნებული მასალა „სიახლე შედეგით ფასობს“.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ოქტომბრის ნაკლები დარჩა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდაათი წლისთავის იუბილემდე. ამ თარიღთან დაკავშირებით ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის. ზესტაფონის „საქკაბელის“ ქარხნის მშრომელებმა

ვადაზე ადრე შეასრულეს

მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა, ამასთან დაზოგეს დიდძალი ლითონი და ელექტროენერგია.

№ 9 ბრიგადამ, რომელსაც ა. ჯანიაშვილი ხელმძღვანელობს, თექვსმეტი დღით ადრე შეასრულა აგვისტოს გეგმა, ხოლო ხუთწლედის ეკონომიის ფონდში გადარიცხა 8500 მანეთი — ორი ათასი მანეთით მეტი, ვიდრე შარშან. საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ აგრეთვე № 8, № 10 და სხვა ბრიგადები, რომლებიც იმისთვის იღვწიან, რომ ხუთწლედის ორი წლის გეგმა შვიდი ნოემბრისათვის შეასრულონ.

▼▼

საიუბილეო დღესასწაულს ახალნაგებობებით დამშვენებული ეგებება ქალაქი ცხინვალი. აქ ბოლო ორ ხუთწლედში

გაშენდა ახალი მიკრორაიონები

— მამსუროვის, ყამირელთა, ტრიკოტაჟის, ახლა კი დაჩქარებით შენდება სალთვისის არხის გაღმა მიკროორაიონი ხუთი და ცხრა სართულიანი საცხოვრებელი სახლებით. სამშაოებს აწარმოებენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 11 ტრესტი და გორის № 24 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ცხინვალის უბანი. სადღეისოდ მიკროორაიონის მშენებლობაზე გამოყოფილია 2 მილიონ 500 ათასი მანეთი.

მიმდინარე წელს აქ საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს სამი ორმოცდახუთბინიანი საცხოვრებელი კომუნალური სახლი. აქვე შენდება სბაავშვო ბაღი 280 ბავშვისათვის. გარდა ამისა საძირკველი ჩაეყრება ხუთ საცხოვრებელ სახლს.

ცნობები ორბიტიდან

ფრუნზის მართვის ცენტრი, 15 სექტემბერი. (საკდესი). გრძელდება იური რომანენკოსა და ალექსანდრე ალექსანდროვის ფრენა „მირ“-ორბიტული კომპლექსით.

ბოლო დღეებში ეკიპაჟის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გეოფიზიკურ კვლევას. ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მეცნიერებისა და სპეციალისტების დავალებებით კოსმონავტები სურათს უღებენ დედამიწის ზედაპირს, ასრულებენ ატმოსფეროს შემდგომი შესწავლის, მის სპექტრულ და ოპტიკურ მახასიათებელთა განსაზღვრის ექსპერიმენტებს.

ორბიტაზე მუშაობა დასახული პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს.

სტუდენტური ალოობა

შრომითი ნოგათი—რესპუბლიკას

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების 4 500-ზე მეტი მოსწავლე „წლეულ“ მონაწილეობას მიიღებს შემოდგომის ალოობაში. მათგან დახმარებას ელიან კახეთის მევენახეები, ქართლის მებაღეები, დასავლეთ საქართველოს მეციტრუსეები და მეჩაიეები.

15 სექტემბერს რესპუბლიკის დედაქალაქში საზეიმოდ გააცილა კახეთის რაიონებში თავისი წარმომადგენლები — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტური რაზმების მებრძოლები. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ორი ათასზე მეტი სტუდენტი შეძლებისდაგვარ დახმარებას გაუწევს ყურძნის კრეფაში წითელწყაროს, ყვარლის, საგარეჯოსა და სხვა რაიონების მეურნეობებს.

სტუდენტური ალოობა-87-ის დაწყებისადმი მიძღვნილი საზეიმო ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. მარგველიძემ. სტუდენტური რაზმების მებრძოლებს გზა დაულოცეს პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა მუშაკებმა, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებმა.

სტუდენტური. რაზმების მონაწილეთა სახელით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა, წითელწყაროს ზონალური შტაბის მეთაურმა გიორგი ხოკაშვილმა დამსწრეთ აღუთქვა, რომ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელს ახალგაზრდობა. ღირსეულ შრომითს ნობათს მიუძღვნის რესპუბლიკას. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ 2000 ტონამდე ყურძენი, ხოლო გამომუშავებული სახსრები გადარიცხონ დასავლეთ საქართველოში სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა ფონდში. (საკინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 47 წლისა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

კარლო ილიას ძე ქაჯაია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

* * *

შეიქმნა კ. ი. ქაჯაიას დამკრძალავი კომისია ი. ჯ. უბილავას თავმჯდომარეობით.

ეს მრავალსახოვანი ბიუროკრატიზმი

დუმილი პოზიცია არ არის

რედაქციას პასუხი დაუგვიანეს

მკითხველი — გაზეთი

- აგვისტოში რედაქციამ 1018 წერილი მიიღო,
- მათგან დაბეჭდილ წერილზე ოფიციალური პასუხია 28,
- გამოხმაურება, წინადადება, მოსაზრება — 108,
- მშრომელთა განცხადება, საჩივარი — 248.
- 1 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით რედაქციაში სულ შემოსულია მკითხველთა 647 განცხადება, საჩივარი, გამოხმაურება, წინადადება და მოსაზრება,
- მათგან დაბეჭდილ წერილზე ოფიციალური პასუხია 21,
- გამოხმაურება, წინადადება, მოსაზრება — 58,
- მშრომელთა განცხადება, საჩივარი — 124.

2 აგვისტოს მოწინავე წერილში **„პარტიული ორგანიზაცია: ამოცანები, პასუხისმგებლობა“ გაკრიტიკებულია პარტიის უვარლის რაიკომი** იმის გამო, რომ ზოგ პარტიულ ორგანიზაციაში გარდაქმნა დაიწყეს ზოზინით, საქმისადმი უსულგულო, ფორმალური მიდგომით, ისე, რომ არ ესმით მთავარი პრობლემების არსი, მნიშვნელობა, მათი განხორციელების გზები და საშუალებები.

მუშაობაში არსებული სხვადასხვა სახის ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისათვის ამავე მოწინავეში აგრეთვე გაკრიტიკებული იყვნენ პარტიის **მაიაკოვსკის, წულუკიძის, ბორჯომის, ქობულეთის, ახალქალაქის, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის, ზნაურის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიკომები.**

გაზეთის ამ კრიტიკას კი ზემოთ დასახელებული რაიონული კომიტეტები რატომღაც დუმილით შეხვდნენ.

ასევე **დუმილის პოზიცია არჩიეს პარტიის თერჯოლის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა რაიონში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შენელების თაობაზე** 2 აგვისტოს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტის ვ. შარიქაძის გამოქვეყნებულ წერილზე **„როცა სადავეები მიშვებულია“.**

2 აგვისტოს ნომერში რუბრიკით „სუსხიანი სტრიქონები“ დაიბეჭდა აგრეთვე ო. ჯოხონელიძის წერილი **„ისევ ბოთლების შესახებ“.** მასში ლაპარაკი იყო მინის ტარის შეგროვებისა და მრეწველობისათვის მიწოდების ძირეული გაუმჯობესების საჭიროებაზე.

მოსახლეობისათვის ამ მეტად საჭირბოროტო საკითხზე კი **საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს** გაწეული საქმიანობის შესახებ **რედაქციისათვის პასუხი დღემდე არ უცნობებია.**

სათაურით **„რამდენმე ძიძის ხელში“** 8 აგვისტოს დაბე

მიმდინარეობს ანგარიშგება- არჩევნები

ზნეობრივი მაგალითის ძალა

ჩუმად, უხმაუროდ ცხოვრობს და იღვწის. მთელი ცხოვრება რკინიგზაზე გაატარა, სამშობლოსაც იცავდა და ომის ჭრილობებსაც უშუშებდა ქვეყანას. მოკლედ, საკუთარი ჰაპანი ბოლომდე ერთგულად ზიდა და, საპენსიო ასაკი რომ დაუდგა, კოლექტივმა პატივითა და მადლიერებით გააცილა დასასვენებლად.

გამოხდა ხანი, და ვახტანგ ვეფხვაძის სახელი კვლავ გამოჩნდა მოწინავე რკინიგზელთა დაფაზე, ხაშურის რკინიგზის კვანძის ათასკაციან კოლექტივში ბევრმა მაშინვე შეიტყო ვეტერანის დაბრუნების ამბავი. სხვებმა კი შეიძლება დღემდეც არ იციან, რომ კვანძის ლანდაგის მორიგემ ვ. ვეფხვაძემ ვადაწყვიტა 25-ჯერ გამოვიდეს რიგგარეშე სამორიგეოდ და მიღებული თანხა ხუთწლედის ფონდში გადარიცხოს.

საქმე თანხა როდია. გარდაქმნას საქმის გულშემატკივარი, ერთგული ადამიანები სჭირდება. პირველმკვალავები, დამრიგებლები, ნოვატორები ის ხალხია, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ შრომითი კოლექტივის სულიერ ფორმირებაზე, მის ზნეობრივ არჩევანზე.

ამიტომაც იყო, რომ ვახტანგ ვეფხვაძეს, ოთარ ლაკაბიძეს, გიორგი ჩიტაძეს ასე ხშირად ახსენებდნენ ხაშურის რკინიგზის სადგურის ადმინისტრაციის პარტჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

გულახდილად, პირუთვნელად გააანალიზეს კომუნისტებმა გაწეული მუშაობა, პრობლემები, რომლებიც კოლექტივს აწუხებს.

რკინიგზაზე საშუალო რგოლის ტექნიკური სწავლების გარეშე ძნელია ლაპარაკი იმ რთული მანქანების, სიგნალიზაციის მოწყობილობებისა და დანადგარების მართვაზე, რომლებმაც უკანასკნელ წლებში ავტომატური გახადა ბევრი შრომატევადი პროცესი.

— ტექნიკური სწავლების ხარისხი კი თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს, — თქვა კომუნისტმა დ. ბერკაძემ. — და ეს ძალზე ხელშესახებად გამოაჩინა წლეულს პირველ კვარტალში მოწყობილმა ატესტაციამ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ოცდახუთმა მუშამ ატესტაცია ხელმეორედ გაიარა. სამი მათგანი კი განმეორებით გაწოდების მიუხედავად სამსახურეებრივი შეუფერებლობის გამო სამუშაოდან გაათავისუფლეს.

როგორ მუშობენ ხაშურელი რკინიგზელები ბელორუს თანამოსაქმეთა მაგალითისამებრ, რამდენად აჩქარებენ კომუნისტები, პარტჯგუფორგი სადგურის კოლექტივში გარდაქმნის, საქმიანობაში ახალი სამეურნეო მექანიზმის დანერგვის პროცესს? კრებას ამ კითხვებზე ერთნაშნა პასუხი არ გაუცია და ვერც გასცემდა, რადგან კომუნისტთა გამოსვლებმა კოლექტივის მიერ გაწეულ მუშაობაში გარკვეულ პოზიტიურ ძვრებთან ერთად ბევრი ნაკლოვანება და ხარვეზი გამოავლინა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, ავტომატიზაციის საშუალებათა დანერგვას რომ თავი დავანებოთ, როგორ გინდა მიუსადაგო ბელორუსი რკინიგზელების მუშაობის მეთოდს ის, რომ ხაშურელი მეისრეების სამორიგეოში უბრალო მაგიდაც კი არ დგას, რომ ზედ წყლის გრაფინი და ჭიქა დადგან. მუშაკთა სამუშაო პირობებისადმი ელემენტარული ყურადღების გამოჩენაც კი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მუშათა სასადილოს კედრა დღეებშიც ემუშავა. არადა, ამ დღეს ცვლაში მომუშავე რკინიგზელები იძულებული არიან სადილისათვის ქალაქში, ორ-სამ კილომეტრზე ირბინონ.

საქმეს აფერხებს ბევრი ტექნიკური ხასიათის სიძნელეც, რომლებიც ხშირად არა მარტო კეთილ სურვილადღა ტოვებს რკინიგზაზე რიტმულ მუშაობას, არამედ უბრალოდ შეუძლებელს ხდის კიდეც მოძრაობის უსაფრთხოების დაცვას. ტვირთის გადაზიდვის მორიგემ გ. ტაბატაძემ და ოპერატორმა ნ. ღამბაშიძემ ამის საილუსტრაციოდ დაასახელეს მაგალითები, როცა ხაშურის სადგურში გამოგზავნეს გრძელი, 62_65-კაგონიანი სატვირთო შემადგენლობები, რომელთა მიღების ფიზიკური საშუალება რკინიგზის ხაშურის სადგურს ჯერ-ჯერობით, სარკინიგზო ხაზების რეკონსტრუქციის დამთავრებამდე პრაქტიკულად არა აქვს. რეკონსტრუქციას, ცხადია, შედარებით დიდი დრო და სახსრები სჭირდება, მაგრამ სამაგიეროდ, ითქვა კრებაზე, სრულებითაც არ სჭირდება დიდი სახსრები სულ რაღაც 120 მეტრი სიგრძის რკინიგზის ლანდაგის დაგებას. ამით კი იოლად გადაიჭრებოდა დიდი სამეურნეო მნიშვნელობის საქმე: სადგური შეძლებდა თავის ბაქანზე ერთდროულად ორი შემადგენლობის მიღებას, რაც თვალსაჩინოდ გააუმჯობესებდა მგზავრთა მომსახურებას, შემოსასვლელ შუქნიშნებთან ხანგრძლივი დროით აღარ დაყოვნდებოდა სამგზავრო და სატვირთო მატარებლები.

კრებამ საქმიანად, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად ჩაიარა. განსაკუთრებული ყურადღება ნაკლოვანებებსა და პრობლემებს დაეთმო. მიღწეულშა და წარმატებებზე კი იმდენად ზოგადად და გაკვრით ითქვა, რომ მხოლოდ კრების შემდეგ, როდესაც შევხვდი რკინიგზის სადგურის პარტბიუროს მდივანს ი. ფანქველაშვილსა და სადგურის უფროსს გ. ციყელაშვილს, მოვახერხე ჩამეწერა ზოგიერთი ძირითადი სამეურნეო მაჩვენებელი. შედეგები ურიგო არ არის: რკინიგზელებმა რვა თვის დაგალები გადაჭარბებით შეასრულეს, დაცლილია საგეგმიზე 416-ით მეტი ვაგონი, დატვირთულია 36.289 ტონა ზეგეგმითი სახალხო-სამეურნეო ტვირთი. ეს კი ნიშნავს, რომ ვადამდე შესრულდება ჯერ კიდევ იანვარში ოქტომბრის 70 წლისთავის იუბილესათვის ნაკისრი ვალდებულების მთავარი პუნქტი: დაიტვირთოს და გადაიზიდოს სახალხო-სამეურნეო დანიშნულების 40 ათასი ტონა ზეგეგმითი ტვირთი.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაში მონაწილეობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობა.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გავზარდოთ მოსახლეობის ფასიანი მომსახურების ეფექტიანობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა „საქართველოს სს რესპუბლიკაში მოსახლეობის ფასიანი მომსახურების განვითარებისათვის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის“ საკითხი. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებსა და საწარმოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს არ გაუანალიზებიათ მოსახლეობის ფასიანი მომსახურების განვითარებისათვის მუშაობაში შარშანდელი შეცდომები და ნაკლოვანებები, არ გამოუტანიათ ჯეროვანი დასკვნები და არ განუხორციელებიათ საჭირო ღონისძიებანი მიმდინარე წელს მათი რეალიზაციის დაძაბულ დავალებათა შესასრულებლად.

1987 წლის პირველ ნახევარში მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა 92,2 პროცენტით, ამასთან სხვაობამ შეადგინა 10,8 მილიონნი მანეთი.

გეგმები ვერ შეასრულეს აჭარის ასს რესპუბლიკამ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, რესპუბლიკის 6 ქალაქმა, 37 რაიონმა, აგრეთვე 19 სამინისტომ და უწყებამ, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების დარგებმა 70 გაერთიანებამ და საწარმომ.

მთლიანად რესპუბლიკაში წლის პირველ ნახევარში რეალიზებული ფასიანი მომსახურების მოცულობა შეადგენს წლიური დავალების 42,5 პროცენტს, ხოლო გაერთიანებებსა და საწარმოებში, რომლებისთვისაც მათი რეალიზაცია არ არის ძირითადი საქმიანობა, ეს მაჩვენებელი კრიტიკულად დაბალ დონეზეა (32 პროცენტი).

მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის სახელმწიფო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილი დაძაბული მდგომარეობა იმის შედეგია, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საქვეუწყებო ტერიტორიაზე მომსახურების სფეროს განვითარებას, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები მიზანმიმართულად არ მოქმედებენ, რათა დააკმაყოფილონ სხვადასხვა მომსახურებაზე მოსახლეობის დიდი გადამხდისუნარიანი მოთხოვნა, აგრეთვე იმის შედეგია, რომ საკმარის კონტროლს არ უწევენ ამ საქმეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების დარგების გაერთიანებებსა და საწარმოებს დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ აღმოფხვრან არსებული შეცდომები და ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ 1987 წლის მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის დაწესებული გეგმისა და დამატებითი დავალების შესრულება.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. **დალაქიშვილის,** ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. **კუხალეიშვილის,** დმანისის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. **გაჯიევის,** ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. **გუგუნავას,** სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. **ფოცხვერაშვილის,** ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. **ჯინჭველაძის,** მაიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. **აბულაძის,** ახალქალაქის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. **გოგორიანის** აყურადღება მიაპყრო არადამაკმაყოფილებელ ორგანიზატორულ მუშაობას ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოსახლეობის ფასიანი მომსახურების განვითარებისათვის და მოსთხოვა მათ საფუძვლიანად გადასინჯონ თავიანთი დამოკიდებულება ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმის შემდგომი განვითარების საკითხებისადმი.

აღინიშნა ფასიანი მომსახურების რეალიზაციის არასტაბილური უზრუნველყოფა, რასაც მოჰყვა საგეგმო მაჩვენებლების შემცირება 1987 წლის იანვრის საქართველოს სსრ მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, უმაღლეს და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებში, ცეკავშირში, საწარმოო „სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქმიდრომენერგომშენში“.

საქვეუწყებო გაერთიანებებსა და საწარმოებში მოსახლეობის ფასიანი მომსახურების განვითარების საკითხებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ გენერალური დირექტორი ამხ. **სანიკიძე,** თბილისის საიუველირო ქარხნის დირექტორი ამხ. **ყვირილაშვილი,** ფოთის ქარხანა „ელექტროაპარატის“ დირექტორი ამხ. **ფოსნიავა,** თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის დირექტორი ამხ. **ქოიავა,** თბილისის სატელევიზიო ქარხანა „ეკრანის“ დირექტორი ამხ. **ჯაიანი,** ახალქალაქის კიდული საბაგირო გზების მოწყობილობის ქარხნის დირექტორი ამხ. **სამადაშვილი,** რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ გენერალური დირექტორი ამხ. **გაბრიჩიძე** იმსახურებენ მკაცრ სასჯელს, მაგრამ მხედველობაში მიიღო რა ის, რომ მათ შეიმუშავეს გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებანი, **მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა მათი პასუხისმგებლობის საკითხი განიხილოს 1987 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით.**

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიეთითა, შესაბამის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად გულდასმით გაერკვეს მიზეზებში, რომლებმაც გამოიწვია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებში მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის მოცულობის მკვეთრი შემცირება, და განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებანი შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განსაზღვრა რესპუბლიკის მოსახლეობის ფასიან მომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მისი განვითარების უზრუნველყოფის სხვა კონკრეტული ღონისძიებანიც.

(საქინფორმი):

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ლაგოდეხის რაიონი ბოსტნეულის ერთ-ერთი დიდი მწარმოებელია ჩვენს რესპუბლიკაში. საოქტომბრო ვალდებულებით წლეულს ლაგოდეხელებმა გადაწყვიტეს მოიყვანონ

1600 ტონა ბალჩეული

რაიონში მოწეული ჭირნახული ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა რეგიონის მშრომელთა სუფრას ამშვენებს. დღეისათვის დამზადებულია 1.700 ტონა ბალჩეული და ბოსტნეული. დამზადება გრძელდება.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში თავი ისახელეს ცოდნისკარის, ულიანოვკისა და ჭაბუკიანის კოლმეურნეობებმა.

▼▼

წლეულს ხილის უხვი ნაყოფით დაიბუნძლა ქართლის ბაღები. გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები

სამაგალითოდ გაისარჯნენ

და კურკოვანი ხილის უხვი მოსავალი მოიწიეს — 531 ტონა საგეგმო 500 ტონის ნაცვლად.

აღსანიშნავია, რომ დიდ ჰექტარობრივ მოსავლიანობას იმ ბრიგადებში მიაღწიეს, სადაც იჯარული წესით შრომობენ. ს. გურგენაშვილის ბრიგადაში საშუალოდ ჰექტარზე 80 ცენტნერი ხილია მიღებული, გ. ნაცვლიშვილის ბრიგადაში — 85 ცენტნერი საგეგმო 75-ის ნაცვლად.

▼▼

არასდროს არ ექცეოდა ჩვენს რესპუბლიკაში ისეთი დიდი ყურადღება ფლორისა და ფაუნის მოვლა-პატრონობას, როგორც დღეს. მცენარეთა

აღწერა დაამთავრეს

ფოთის სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-საშენებელი ქარხნის ბუნების მეგობრებმა. საწარმოს ტერიტორიაზე დაახლოებით 180 სახეობის ხე, ბუჩქი და ბალახი აღწერსხეს. მათ შორის ბევრია იშვიათი — საქართველოს სსრ წითელ წიგნში შეტანილი მცენარე. ფლორის სამხრეთის წარმომადგენლებთან ერთად კარგად ხარობენ ტიპური „ჩრდილოეთის“ წარმომადგენლები.

იმ მცენარეთა შორის, რომლებიც ქარხნის ტერიტორიის აშშვენებენ, ძალიან ბევრია ისეთი, ამ განდზე სხვაგან რომ არ გვხვდება. ეს არის თეთრი ხვალო, მსხვილფოთლება ცაცხვი, ცომბორული ფიქვი, კოწახური და სხვა. იღებენ ზომებს საწარმოს ნარგავების სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

დამტკიცებულია, კერძოდ, მუზეუმ-ნაკრძალის აშენების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სამკურნალწამალო მცენარეთა საფთიაქო ნაკვეთის შექმნა და იშვიათ ხეთა ხეივნის გაშენება.

ვაგონებმა უნდა იმუშაონ

ბანვლილ უქმე დღეებს კვლავ მოჰყვა სერიოზული შეფერხებები მოძრავი შემადგენლობის ბრუნვის პროცესში. მაგალითად, თუ შაბათს, 12 სექტემბერს, რესპუბლიკის, საწარმოებისა და ორგანიზაციების მისასვლელ გზებზე 117 გადმოუცლელი ვაგონი მოცდა, კვირას, 13 სექტემბერს, ასეთი ვაგონი უკვე 210 იყო.

მოსული ტვირთის დამუშავების დაგვიანებაში სავალალო „ლიდერობას“ აგერ უკვე ზედიზედ მერამდენე თვეა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი ინარჩუნებს. მისი მიზეზით 11 სექტემბერს გადმოტვირთვის ოპერაციების დროს ნორმის გადამეტებით დაყოვნდა 48, 12 სექტემბერს — 50, ხოლო 13 სექტემბერს — 56 ვაგონი. სრული ძალით არ იმუშავეს, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოების სატრანსპორტო სამსახურებმა, რომლებმაც ვერ გადმოტვირთეს 11 სექტემბერს 20 ვაგონი, აგრეთვე საქმთავარწყალმშენის სამსახურებმა, რომელთა წილად 13 სექტემბერს მოცდენილი 18 ვაგონი მოდის, და მთელმა რიგმა სხვა შრომითმა კოლექტივებმა.

შემოდგომაზე, როცა სახალხო-სამეურნეო ტვირთზიდვის დაძაბული ხანაა, ფოლადის მაგისტრალების მუშაკებს მოძრავი შემადგენლობის ყოველი ერთეული ძვირად უღირთ. ამიტომ მკაცრი სახელმწიფო წესრიგი უნდა დავამყაროთ მის გამოყენებაში, მივაღწიოთ იმას, რომ ვაგონები სრული დატვირთვით მუშაობდნენ და მუდმივად სატრანსპორტო ბრუნვაში იყვნენ. ამ ამოცანის განხორციელება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ყოველდღიური ამოცანაა.

(საქინფორმი)

ჟურნალ-ინფორმაციაში
ტელეფაქსი
გადმოგვცემს
15 სექტემბერი ● საკდესი

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა

ჰელსინკი. ახლა არის ყველა შესაძლებლობა, რათა მივაღწიოთ მნიშვნელოვან პროგრესს მშვიდობის იდეალების განხორციელებაში, ნათქვამია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაში, რომელიც აქ გაავრცელეს მშვიდობის საერთაშორისო დღის გამო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება სექტემბრის მესამე სამშაბათს.

მსოფლიო მიუახლოვდა ორი კლასის ბირთვული იარაღის — საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმების დადებას, აღნიშნულია დოკუმენტში. ამას შეიძლება მოჰყვეს მთელი რიგი ღონისძიებანი უბირთვულაარაღო მსოფლიოს მიმართულებით. მაგრამ, ამის მიუხედავად, საზოგადოებრიობა თავს ნებას ვერ მისცემს შეწყვიტოს ზეგავლენა მთავრობებსა და პოლიტიკურ-ლიდერებზე, მიანიჭოს მათ უფლება მიიღონ გადაწყვეტილებანი, რომლებიც ხალხთა ბედს ეხება.

ამასთან დაკავშირებით მშვიდობის მსოფლიო საბჭო აყურადღებას მიაპყრობს გადაწყვეტილებას, რომ მოეწყოს მსოფლიო მასშტაბის ანტიბირთვული გამოსვლები. ეს გადაწყვეტილება მიიღეს დელეგატებმა ბირთვული იარაღის აკრძალვის ტოკიოს საერთაშორისო კონფერენციაზე, /რომელიც აგვისტოში გაიმართა. ღონისძიება დაგეგმილია 24 სექტემბრისათვის — განიარაღებისათვის მოქმედების კვირეულის დაწყების დღეს, რომლის ინიციატორიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა. წინადადების არსი ის არის, რომ ზუსტად შუადღისას ადგილობრივი დროით სხვადასხვა ქვეყანაში მოეწყოს მშვიდობის მომხრეთა გამოსვლები. მათ სტარტი მიეცემა იაპონიის ქალაქებში ჰიროსიმასა და ნაგასაკში, საიდანაც იგი დროის სარტყლების შესაბამისად დაიძვრება დასავლეთისაკენ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო, ნათქვამია მიმართვაში, ყოველნაირად შეუწყობს ხელს საერთაშორისო თანამოქმედებას და მოუწოდებს მშვიდობისათვის ბრძოლის ყველა მოძრაობასა და ორგანიზაციას წარმატებით განახორციელონ ეს მშვიდობისმოყვარული აქცია.

ორიგინალი დანაშაული

ქაბული. ორიგინალი დანაშაული ჩაიდინა ავღანეთის კონტრრევოლუციამ. 13 სექტემბერს ადგილობრივი დროით 13 საათსა და 22 წუთზე ქალაქ კუნდუზის აეროპორტში დაჯდომის დროს საზენტო რაკეტებით ჩამოაგდეს ავღანეთის სატრანსპორტო თვითმფრინავი ან-26. როგორც აეროპორტის მუშაკებმა განაცხადეს, ჯერ ჰაერში გაისმა ორი აფეთქების ხმა, მერე რამდენიმე წამში, მესამე, უფრო ძლიერი აფეთქება. ამის შემდეგ თვითმფრინავი მიწას დაენარცხა. თვითმფრინავში იყო ეკიპაჟის ექვსი წევრი და ცხრა მგზავრი, მათ შორის ორი ქალი.

მექიკო. ეროვნულ პრესაში გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, კაპიტალის გადინებამ მექსიკიდან საზღვარგარეთ 1979-1984 წლებში 57 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს თანხა ქვეყნის ახლანდელი საგარეო ვალის თითქმის ნახევარს შეადგენს და როგორც მექსიკის ნოტიმექსის საგენტო იუწყება, 107 მილიარდ დოლარს მიაღწია. ეს კაპიტალი უმთავრესად აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე დასავლეთის ზოგიერთი სკკა ქვეყნის ბანკებში.

გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემცირდა უცხოეთის კაპიტალდაბანდებანი მექსიკაში, ისევე როგორც ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში. როგორც აღნიშნულია ლათინური ამერიკის ეკონომიკური სისტემის ამასწინანდელ მოხსენებაში, ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო დაფინანსება 1981-1986 წლების მანძილზე 70,5 მილიარდი დოლარიდან 8,3 მილიარდ დოლარამდე შემცირდა.

მექსიკის პრეზიდენტმა მიგელ დე ლა მადრიდმა, რომელმაც ამას წინათ ყოველწლიური მოხსენება გააკეთა მთავრობის საქმიანობის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საგარეო ვალის პრობლემას ვერ გადაჭრიან, სანამ არსებობს ახლანდელი საერთაშორისო ეკონომიკური წყობა.

მართლაც, დღემდე მექსიკის ყველა მოლაპარაკებას დასავლელ კრედიტორებთან, უწინარეს ყოვლისა ამერიკის ბანკებთან, მოჰყვა მხოლოდ ვალის დაფარვის ვადების გადატანა. ამავე დროს საგარეო ვალი კი არ შემცირებულა, არამედ გაიზარდა.



ქაბული. შაშხანები და ავტომატები, „სტინგერის“ და „ბლოუპაიპის“ ტიპის საზენიტო რაკეტები, გასაშვები დანადგარები და მისი ჭურვები, ქვემეხები და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები, სხვადასხვა ტიპის, მათ შორის საოჯახო ნივთების ფორმით შენიღბული ნაღმები, ერთი სიტყვით, მომაკვდინებელი იარაღის მთელი არსენალი უჩვენეს მიუმხრობელი ქვეყნების ჟურნალისტებს მათთვის გამართულ პრესკონფერენციაზე.

სურათზე: ჟურნალისტები ათვალიერებენ დუშმანებისთვის წართმეულ იარაღს.

გასთარ-საკდესის ტელეფოტო.

2. სიახლე შედეგით ფასობს

გასულ საუკუნეში დიდმა ვაჟამ ფშავის მთებიდან სიღარიბისაგან უკიდურესად შეწუხებული მცირემიწიანი გლეხები შირაქის ზეგანზე ჩამოასახლა მუდმივ საცხოვრებლად. მათ მუყაითი შრომით შირაქის მადლიან მიწაზე მალე მოითქვეს სული, წელში გაიმართნენ. მომხვდურთა მიერ მოსრულ ძველ ქართულ ნასოფლარებზე კვლავ აღორძინდა სიცოცხლე, სოფელმა ნელ-ნელა გაშალა ფრთები.

დღეს წითელწყაროს რაიონში სოფელი ქედი ერთ-ერთი მდიდარი სოფელია, რომლის მრავალდარგოვან და ფუძემძლავარ კოლმეურნეობას მადლიერმა შთამომავლობამ ვაჟა-ფშაველას სახელი უწოდა.

ეკონომიკა. ... ეკონომიკა. ... ეკონომიკა. ... ეკონომიკა.

ПИРДАПИРИ КАВШИРИ

ალო, თქვენ გიპასუხებთ მინისტრი

აქტუალური რეპორტაჟი გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებთან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის **ირაკლი მენაღარიშვილის** ტელეფონით დიალოგის შესახებ.



პროლოგი. **რეპორტაჟის იდეა ნელა, მაგრამ აშკარად მწიფდებოდა. მას ვიხილავდით ყველგან — კაბინეტებში და ხანმოკლე თათბირებზე, დერეფნებში და ბუფეტში, თავისუფალ დროს საუბრებში და სერიოზული დავა-კამათის დროს.**

როცა ჯანმრთელობის დაცვის განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტი გამოვიდა, მივხვდით, რომ მკითხველებთან ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის უშუალო დიალოგის მოწყობა ჩვენი ვალია.

კავშირგაბმულობის სამინისტრომ ორი სპეციალური ტელეფონის ნომერი გამოუყო რედაქციას. ორმა დიქტოფონმა ამ ტელეფონებში ჩართო რესპუბლიკის სახტელერადიო და ხარისხოვნად ჩაწერეს ტელეფონის აპარატის მეშვეობით მიღებული სახინჯი კითხვა, პირდაპირი კავშირის ბედი საბოლოდ გადაწყდა.

კულისებში. **დიალოგის დაწყებამდე 15 წუთით ადრე კაბინეტში, სადაც ტელეფონები დაიდგა, შეშფოთდნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, მინისტრის მოადგილე ნინო უზნაძე, სამინისტროს სანეპიდსამმართველოს უფროსი ნიკოლოზ შავდია, საქართველოს საფთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე სერგო გულიაშვილი და მინისტრის თანაშემწე თეიმურაზ ჯოხონელიძე.**

მინისტრი მაგიდას მიუჯდა. მის მარჯვნივ დგას ტელეფონის აპარატები, დიქტოფონები და სტენოგრაფისტთა მაგიდა, მარცხნივ ოთხი თანაშემწე უზის, მის პირდაპირ ფიდგმული მაგიდას ჟურნალისტები უსხედან.

მინისტრი აშკარად ღელავს. გაზეთის მკითხველებთან უშუალო დიალოგი მისთვის, ისევე როგორც ჩვენთვის, პირველი ცდაა. ირაკლი მენაღარიშვილმა დინჯად და გულმოდგინედ მოიმზადა ქაღალდი, რამდენიმე კალამი და მაგიდა მოასაუფთავა ყოველივე ზედმეტისაგან.

გაისმა პირველი ზარი.

— ალო, მენაღარიშვილი გისმენთ.

— ლაპარაკობს მერი ყიფიანი: ავად ვარ, გარეთ ვერ გამოვდივარ. ვცხოვრობ გლდანში. საავადმყოფოში დაწოლაზე უარს მეუბნებიან.

— ვინ გეუბნებათ უარს?

— პოლიკლინიკა.

— მაშ შევთანხმდეთ: ორშაბათს შინ გეწვევიან სამინისტროს თანამშრომლები. სპეციალისტებს მოიწვევენ და ზუსტ დიაგნოზს დაგისვამენ. თუ საჭირო იქნება, საავადმყოფოში დაგაწვენენ.

— დიდად გმადლობთ.

კულისებში. **მინისტრმა თავის თანაშემწეს თეიმურაზ ჯოხონელიძეს გადასცა მერი ყიფიანის მისამართი და უთხრა:**

— გამოარკვიეთ და მაცნობეთ. ვინ უთხრა უარი ავადმყოფს ჰოსპიტალიზაციაზე. და რატომ.

ზარი. **ტელეფონთან რუსუდან ირემაშვილია.** თბილისიდან.

— სკოლიოზზე მინდა გელაპარაკოთ, — ამბობს იგი. — ამას წინათ „ვრემიას“ პროგრამაში თქვეს, პოლონეთში კარგად მკურნალობენო სკოლიოზს. ხომ არ შეიძლება, როგორმე, როგორც გამონაკლისი, სამკურნალოდ იქ წასვლა, რაკი ჩვენში ანალოგიური არაფერი გვაქვს.

— გარკვეულად ვერაფერს გეტყვიო, თუ მეგიძლიათ, თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს მობრძანდით სამინისტროში, ვნახოთ ჩვენი ძალებით, ან კავშირის მასშტაბით ძიძლება თუ არა თქვენი პრობლემების გადაჭრა, დახმარება. შემდეგ კი გავარკვიოთ ყველაფერი, ისიც, არის თუ არა პოლონეთში სამკურნალოდ წასვლის საშუალება. შეგთანხმდით?

— კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს. მინდა გკითხოთ ვოლტარენის პრეპარატზე. აფთიაქებში სრულიად გაქრა. არსად იშოვება.

— ორტოფენი- არ გიცდიათ? ეს ვოლტარენის უშუალო ანალოგია.

— ავადმყოფმა უარი თქვა ორტოფენზე. ეტყობა, ძველი, მიჩვეული პრეპარატისადმი ფსიქოლოგიური განწყობა უნდა იყოს. ესეც ხომ ანგარიშგასაწევია.

— რა თქმა უნდა. ყოველთვის ჯობს ქრონიკულმა ავადმყოფმა ის მიიღოს, რასაც შეეჩვია. მაგრამ ვოლტარენი აღარ შემოგვაქვს. მიზეზისა გამო სხვათა და სხვათა მედიკამენტების სტაბილური იმპორტის საქმე ჯერ-ჯერობით ვერ მოვაგვარეთ. შარშან, 80-ზე მეტ პრეპარატზე მოუხდა უარის თქმა ჩვენს ქვეყანას, მომავალში წამლების იმპორტი კვლავაც შემცირდება. ასეთია რეალური ვითარება. რჩება ერთადერთი გამოსავალი — მოვეთათბოროთ სპეციალისტებს და როგორმე უმტკივნეულოდ გადავიდეთ ორტოფენზე. ამამიც დაგეხმარებით.

პირდაპირი კავშირის სტატისტიკა. **პირველ 80 წუთში მინისტრს 11 კაცი ესაუბრა. 89 შეკითხვა მისცეს. მინისტრთან მიღებაზე ჩაეწერა 4 კაცი, კონტროლზე აყვანილია 7 საკითხი. 11 აბონენტიდან ათმა დეფიციტური მედიკამენტების მოვნაში დახმარება ითხოვა. 7 შემთხვევაში თხოვნა დაკმაყოფილდა.**

ზარი სოხუმიდან. ლაპარაკობს იურისტი მალხაზ ბოლქვაძე.

— ჩვენი სამედიცინო დაწესებულებანი კორუფციამ გახრწნა. არაოფიციალური ტაქსაც კი დაწესდა: გლაუკომის ოპერაციაში ექიმი 50 მანეთს იღებს, შშმბიაორბისთვის — 100, აპენდიციტის ოპერაციისთვის — 200 მანეთს. ჩემი აზრით, ამ საქმეში ვერავითარი დისციპლინური ღონისძიებანი და პატიოსნებისათვის მოწოდებანი ვერ გვიშველის — ამ სენმა მეტისმეტად ღრმად გაიდგა ფესვი. ეტყობა, საჭიროა ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომლებიც თვით სამედიცინო მომსახურების სტრუქტურას შეცვლის. რას იტყვი, მართალი ვარ?

— არ იქნება სწორი ყველა მედიკოსს კორუფცია დავაბრალოთ, დამეთანხმეთ, რომ ჩვენ არაერთი უანგარო, ნამდვილად თავდადებული ექიმი გვყავს. თუმცა ამ პრობლემის არსებობაზე თვალის დახუჭვაც არ იქნება მართალი. შეკითხვის დაბადებაც, ალბათ, ამას მოწმობს, მაგრამ ამ პროცესის შეჩერება შეიძლება.

ამ საქმის მოსაგვარებლად მედპერსონალის მუშაობაზე კონტროლის გაძლიერებასთან ერთად საჭიროა მათი შრომის ანაზღაურების დიფერენციაციაც. მედიკოსს კარგი, ხარისხოვანი შრომისათვის მეტი უნდა გადავუხადოთ, ცუდი შრომისათვის — ნაკლები, ან საერთოდ არაფერი მივცეთ. წლების მანძილზე მედიცინაში, ისევე როგორც ყველგან, გათანაბრება ბატონობდა. ყველანი ერთნაირად იღებდნენ შრომის ხარისხის მიუხედავად. ახლა პირველად შეგვექმნა ექიმების ხელფასების დიფერენციაციის საშუალება — ხარისხოვანი, მაღალკვალიფიციური შრომისათვის დამატებითმა ანაზღაურებამ ახლა შეიძლება ძირითადი განაკვეთის 50 პროცენტი შეადგინოს. დასაწყისისათვის ურიგო არ არის, მაგრამ ესეც ცოტაა.

— მე მედიცინაში ფართო სამეურნეო ანგარიშის მომხრე ვარ — ექიმის შემოსავალი მის კვალიფიკაციასა და კონკრეტულ შრომას უნდა ასახავდეს და არაფრით არ იზღუდებოდეს. თუ საქმე ასე არ დავაყენეთ, კორუფციასთან ბრძოლა ყოველგვარ აზრს დაკარგავს — ეს იქნება მორიგი ღალადისი, რომელიც ისედაც ყელში ამოგვივიდა.

პატიოსნება და წესიერება დიდებული თვისებებია, მაგრამ იგი მხოლოდ სურვილით და მოწოდებებით არ ჩაინერგება, ჩვენში ახლა მთელი საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის გარდაქმნა ხდება და ხდება ისე, რომ ზნეობრივი კატეგორიები ეკონომიკური ურთიერთობის არსად იქცა, რათა პატიოსნება მარტოოდენ მშვენიერი გრძნობა კი არ იყოს, არამედ კონკრეტული ადამიანისათვის ეკონომიკურად ხელსაყრელი კატეგორიაც. როცა ასე დამკვიდრდება, კორუფცია, პრინციპში, თვითონ მოჭამს თავის დროს.

და კიდევ ერთი რამ. დამახინჯებათა წინააღმდეგ ლოკალური ბრძოლა, ჩემი აზრით, ბულუბრყვილოობაა. გეტყვით, რატომ. იგივე ჯანმრთელობის დაცვა მთელი საზოგადოებრივი ორგანიზმის მხოლოდ ერთი ნაწილია. როგორ შეიძლება იგი ჯანსაღი იყოს, როცა მთელი ორგანიზმის ავადმყოფობით არის შეპყრობილი? შემთხვევითი კი არ არის, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ლოკალური ბრძოლის ყველა ჩვენი ცდა მარცხით დამთავრდა. და ისევ და ისევ იმიტომ, რომ თითებს ვმკურნალობდით, როცა მთელი ორგანიზმის მკურნალობა იყო საჭირო. გამოსავალი ერთადერთია — ფართოდ გავშალოთ ბრძოლა მთელი ფრონტით, ვიბრძოლოთ ლოგიკურად ეკონომიკური და აკი ადმინისტრაციული მეთოდებით. სწორედ ამას ვმზრუნავთ ახლა. გაკმაყოფილებთ პასუხი თუ უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ?

— სავსებით. გმადლობთ.

—მეც მადლობელი ვარ საინტერესო კითხვისათვის.

— გამარჯობათ. მხეიძე გელაპარაკებით, აფხაზეთიდან.

— რა სიახლეები მოჰყვა ამხ. ე. ჩაზოვის მოსვლას მინისტრის პოსტზე?

— ვფიქრობ, უფრო სწორი იქნება თუ ამ ფაქტში მხოლოდ დარგის ხელმძღვანელის შეცვლას კი არა, დარგში ძირეული გარდაქმნის დასაწყისს დავინახავთ.

ცვლილებები კი სახეზეა. პირველად ხმამაღლა თქვა ჯანმრთელობის დაცვაში არსებულ უაღრესად სერიოზულ, რთულ პრობლემებზე, დარგის ჩამორჩენაზე. სიტყვა და საქმე, უფრო ზუსტად — გადწყვეტის გზები დაუახლოვდა ერთმანეთს, დადგა რეალურ საფუძველზე.

მოკავშირე რესპუბლიკების ჯანდაცვის სამინისტროებმა უკვე მიიღეს უფლება თვითონ არეგულირონ სამედიცინო დაწესებულებების საშტატო განრიგები არსებული ხელფასის ფონდის ფარგლებში. უკვე მივიღეთ ბრძანება მოქალაქეთა მიერ უბნის ექიმის თავისუფალად არჩევის პრინციპის დანერგვის თაობაზე და სხვა მრავალი.

უმთავრესი კი, ჩვენს აზრით ისაა, რომ სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში დღეს მხარს უჭერენ ადგილებიდან წამოსულ ყველა წინადადებას საინტერესო სიახლეთა შესახებ. ყველ შემთხვევაში, ასეა ჩვენი რესპუბლიკის მიერ დასმული საკითხებისადმი დამოკიდებულება. სხვათა შორის, რესპუბლიკური აქტივის ახლანდელ კრებას დაესწრება ამხანაგი ჩაზოვი, იგი ადგილზე განიხილავს ჩვენს პრობლემებს და, ვფიქრობ, მისი ჩვენთან ჩამოსვლა უკვალოდ არ ჩაივლის.

— გადაეცით ჩვენი კეთილი სურვილები სტუმარს.

— გმადლობთ, თქვენს სურვილს აუცილებლად შევასრულებ.

კულისებში. **საქალაქთაშორისო ზარი. მინისტრმა ყურმილი აიღო, რომელშიც ჯერ ტკაცა-ტკაცები ისმა, შემდეგ კი საერთოდ გაწყდა კავშირი. ეს რამდენჯერმე მოხდა. და მაინც, ტკაცა-ტკაცები და ხრიალი ამ დღეს ჩვეულებრივზე გაცილებით ნაკლები იყო. კავშირგაბმულობის მუშაკებმა იყოჩაღეს და ჩვენც შესაბამისად დავუფასეთ ეს.**

ტელეფონთან მახარაძეები ექიმი ნინო მდინარაძეა. საუბარი პროფესიულია — რაიონული ჯანდაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოწყობილობის შეძენა, სხვა ვიწრო სპეციალური პრობლემები. მინისტრმა წინადადებანი ჩაიწერა, თავისიც შესთავაზა, ურჩია, დავალებანი მისცა თანაშემწეებს.

კვლავ საქალაქთაშორისო **ტელეფონთანაა გურჯაანელი ექიმი.** კვლავ პროფესიული დიალოგი.

ზარი ზუგდიდიდან. ტელეფონთან ექიმია. საქმეში ჩაუხედავი კაცისთვის გაუგებარი საუბარი, ვიწრო სპეციალური კითხვები და ასეთივე პასუხები.

მინისტრ-მკითხველის დიალოგის მანძილზე 27 ასეთი შემთხვევა იყო. რეკავდნენ ექიმები, მინისტრთან არკვევდნენ თავიანთთვის საინტერესო პრობლემებს.

კომენტარი. **აქ უთუოდ სჩანს ექიმების მეტისმეტი აქტიურობა და ჩვენი ჟურნალისტური შეცდომა. ეტყობა ჩვენს საკუთარ კორესპონდენტებს მკითხველთა დიდი აქტიურობის იმედი არ ჰქონდათ და ადგილებიდან თვითონ დაარეკინეს მედიცინის მუშაკებს. ისინი კი, ცხადია, მინისტრს მხოლოდ ვიწრო სპეციალურ კითხვებს აძლევდნენ, რომლებიც, ჩვენში რომ ვთქვათ, ამ დიალოგის ფორმა კი არა, მაგალითად, სამინისტროს კოლეგიაზე უნდა წყდებოდეს. მკითხველებს ეს ჩვენი შეცდომა ძვირად დაუჯდათ — 47 წუთი დაკარგეს. დრო დიქტოფონის ჩანაწერით დაზუსტდა.**

მეორე დღეს „კომუნისტის“ კოლეგიის სხდომაზე საკუთარი კორესპონდენტების ასეთ „ინიციატივას“ შეფასება მიეცა. მთ მოთხოვეს, მომავალში გამორიცხონ ასეთი ხელოვნურობა მკითხველებთან ურთიერთობაში.

ტელეფონთან არის ბათუმელი მუშა რამაზ გოგიტიძე.

— როგორ გგონიათ, — ეკითხება იგი, — იქნებ ჯობდეს ფასიანი მკურნალობა შემოვიღოთ. სულ ერთია, მაინც ვუხდით ექიმებსაც, სანატორებსაც, ის კი არა, საავადმყოფოს ვახტიორებსაც. ბარემ სახელმწიფომ უბრუნველყოს გარკვეული უფასო მინიმუმი, დანარჩენს კი ჩვენ გადავიხდით. ასე უფრო მშვიდად გავალ — ეს იქნება მორიგი ღალადისი, რომელიც ისედაც ყელში ამოგვივიდა.

— ეს იქნება ერთ-ერთი ასეთი ექიმი, ალბათ, ბევრ ადგილას ასეთ ექიმებს ეძებ. ეს ფასიანი ექიმი, ეტყობა

ღრუბლებს იქით მზე ანათებს!

განსაკუთრებულია აფხაზეთის ყველაზე მაღალი მთის სოფელ ფსხუში ფრონტის გმირთა ხსოვნის პატივსაცემად აღმართული ძეგლი. გრანიტის ფილა ადევს ძმათა სასაფლაოს, რომელშიც დაკრძალულია მარუხისა და სანჩაროს უღელტეხილების დაცვისას დაღუპულ მეომართა ნეშტი. მათი მხედრული გმირობის პატივსაცემად შეიკრიბნენ აქ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ფსხუსა და სანჩაროს უღელტეხილის განთავისუფლების 45 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის მონაწილეები.

ფსხუ აფხაზეთის ერთადერთი სოფელია, რომელშიც შეძლეს შეჭრილიყვნენ სამთო-მსროლელთა კორპუსის „ედელვაისის“ ჰიტლერელი არამზადები. მათ აქ დიდხანს არ უთარეშიათ. გაფანტრებული შეტაკებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენმა ჯარის ნაწილებმა და სახალხო მოლაშქრეებმა განდევნეს ფაშისტები.

... პურ-მარილით შეხვდნენ კავკასიისათვის ბრძოლის მონაწილეებს თავიანთი სახლების ჭიშკრებთან სოფლის მცხოვრებნი.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ჩერნიშევმა, სკოლის დირექტორმა სვეტლანა ქანთარიამ, ყოფილმა ფრონტელმა ივანე ტურკოვმა, რომელიც მშობლიურ სოფელს იცავდა ჰიტლისაგან, ბევრი რამ იღონეს იმისათვის, რომ უკეთ დავეყოთ კავკასიის უღელტეხილებზე მეომრების გმირობა. სწორედ მათ უჩვენეს სტუმრებს ყველა ღირსსახსოვარი ადგილი, სადაც ქვაშია უკვდავყოფილი გმირების ხსოვნა...

სამ დღეს გრძელდებოდა ზეიმი მაღალი მთის სოფელში. მისმა მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს ფსხუსა და სანჩაროს უღელტეხილის დამცველთა ძეგლები და საფლავები, კავკასიისათვის ბრძოლის 45 წლისთავის აღსანიშნავად გააშენეს პარკი. ფსხუს განთავისუფლების დღეს კი სოფელში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც პატივი მიაგეს დიდი სამამულო ომის მთავარ გმირს — ძმობით შეკავშირებული საბჭოთა ხალხების ერთსულოვან ოჯახს.

თ. ჯიბუტი.

* * *

სურათებზე: კავკასიისათვის ბრძოლების მონაწილე ბათუმელი სოსლან კოჩიევი; ეს უბრალო ობელისკები კავკასიის დამცველთა ხსოვნის აღსანიშნავად დგას მთებში.

ბ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საით, ჩემპიონო!

ჯერ ყური მოგვეჭრა ამ ამბავმა, მერე — ჩაგვაფიქრა ვიქტორ მიროშნიჩენკოს, თუმცა, ყასაბად დაუწყია მეშაობა. მიროშნიჩენკო სპორტის დამსახურებული ოსტატია, სახელოვანი მოკრივე, მსოფლიო ჩემპიონატების, ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორი. ადგა ეს კაცი და ყასაბის ხალათი გადაიცვა. ყველას თავისი გზა აქვს ცხოვრებაში, პროფესიის არჩევის უფლებას ვერავის წაართმევ. ყასაბობა, როგორც ჩანს, სარფიანი საქმეა — შესთავაზეს და უარი არ უთქვამს. ცდუნება თავმოყვარეობაზე ძლიერი აღმოჩნდა. უფრო „შენიღბული“ ადგილი რომ შეერჩია, შეიძლება არავის ამოეღო ხმა. ყასაბი! ეს სიტყვა ეხამუშა ჩვენს სმენას, საკავშირო პრესაში გახმაურდა მიროშნიჩენკოს ამბავი.

ჩვენ ჩუმად ვართ. ხმას ალბათ, მაშინ ამოვიღებთ, როცა რომელიმე ცნობილი ქართველი სპორტსმენი ქაბაბს ან ხინკალს მოგვართმევს დუქანში. ამის იმედი ნუ გვექნება; ჩვენ ეგეთი გულუბრყვილო ხალხი არა ვართ. ოფიციანტობა ჩვენი საქმე არ არის, ჩვენი საქმე დირექტორობაა. ანდა ქვეყანაზე სარფიან საქმეს რა გამოლევს, ისეთ საქმეს, „ვიტრინაში ყოფნა“ რომ არ სჭირდება. ადგილი „თბილიც“ უნდა იყოს და უცხო თვალთაგან მოფარებული. პრესტიჟის ამბავია, მეტი არაფერი. სპორტი ყველა შემთხვევაში ზარალდება: ყოფილი სპორტსმენი — ყასაბიც და, ვთქვათ, ტაქსის პარკის დისპეტჩერიც — სპორტისათვის ყოფილია და მეტი არაფერი. მისი გამოცდილება, ცოდნა, ავტორიტეტი დაკარგულია სპორტისათვის. მაგრამ მარტო კონკრეტული პიროვნების ავტორიტეტი როდი ილახება, არამედ მთლიანად სპორტისაც. გაიხედ-გამოიხედავ და უნებლიეთ წამოგცდება: საით წასულან ჩვენი ჩემპიონები, როგორ დაუგდიათ ღვიძლი საქმე და ფეხაკრეფით გაპარულან სცენიდან. ვინც სპორტის ერთგულ მსახურად გვეგულებოდა, ვისი გამოცდილებაც ჩვენი სპორტის მომავლისთვის გვეიმედებოდა, იმის გუდა-ნაბადი აუკრავს და გახიზნულა. ზოგი თავისი ნებასურვილითა და გულის კარნახით, ზოგიც — ჩვენივე მიზეზით, ჩვენი უყურადღებობითა და უსულგულობით. ყველა ყოფილი სპორტსმენი, ცხადია, მწვრთნელი ან სპორტის მუშაკი ვერ იქნება. ამის ნიჭი და უნარი ყველას არა აქვს, რამდენს მოსცარვია ჩელი ამ საქმეში, მაგრამ, სამაგიეროდ, კარგი მეცნიერის, ინჟინრის, ექიმის სახელი დაუგდია. საფიქრალი სხვა რამ არის: უმრავლესობა ფეხის ხმას აპყოლია, სპორტში დარჩენის სურვილი გულიდან ამოუჭრია და ფეხის ცერებზე შემდგარს სარფიანი საქმის ძებნა დაუწყია — მე სპორტში ჩემი საქმე უკვე გავაკეთე, ვალი მოვიხადე და აწი თავი დამანებეთო. აი, ასეთი ფსიქოლოგია გაბატონდა, ასე დაიცალა ჩვენი სპორტი ჩემპიონებისაგან.

ნუ ვიქნებით მიამიტები, მატერიალური კეთილდღეობის წყურვილს „მიგრაციის“ ერთადერთ მიზეზად ნუ ფამოვაცხადებთ. უდავოა, სხვა ფაქტორებიც მოქმედებს, რომელთა გამოკვლევას ჩვენი სპორტული ცხოვრების წიაღში მივყავართ.

ე. ბერიშვილი.

* * *

მკითხველი უთუოდ დაგვეთანხმება, რომ პრობლემა, უაღრესად აქტუალურია და ქართული სპორტის საარსებო ინტერესებსაც ეხება. ამიტომ წამოვიწყეთ ამ თემაზე საუბარი, იმის იმედიც გვაქვს, რომ მხარს დაგვიჭერთ, გამოგვეხმაურებით. „კომუნისტი“ ელის სპორტსმენების, მწვრთნელ-სპეციალისტების, სპორტის გულშემატკივრების წერილებს.

„სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე

საქართველო: ენერგიული რეალისტების ხანა

ამ საათო სათაურით გუშინ გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნდა წერილები, რომლებიც, მკითხველს მოუთხრობს საქართველოს სპორტული ორგანიზაციების მუშაობის გაჭოცდილებაზე, გარდაქმნის მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში დანერგილ სიახლეებზე.

უნდა თქვას, რომ ცენტრალური სპორტული გაზეთი ბოლო ხანს განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული მოძრაობისადმი, მკითხველთა სამსჯავროზე სისტემატურად გამოაქვს მასობრივი თუ დიდი სპორტის განვითარებაში მიღწეული წარმატებანი, ხარვეზები და პრობლემები. „სოვეტსკი სპორტის“ გუშინდელი პუბლიკაციები ამ საუბრის გაგრძელებაა.

გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებულ მასალაში გაშუქებულია საქართველოს სპორტსახკომის მუშაობის სტილი და მეთოდები, ხაზგასმულია, რომ სპორტსახკომი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მთავარ კოორდინატორად, სრულუფლებიან ლიდერად გვევლინება. გაზეთის მეორე გვერდზე დაბეჭდილი წერილები ერთ ძირითად საკითხს ეხება. ეს გახლავთ სპორტის, ფიზკულტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მისი ეფექტიანი გამოყენება, ამ საქმეში დაკავდრებული სიახლეები. გვერდის მასალათა ავტორები — „სოვეტსკი სპორტის“ სპეციალური კორესპონდენტები დ. კაკაბაძე და ვ. სალეთონი მოგვითხრობენ სპორტკომბინატ „დინამოსა“ და ცენტრალური წყალოსმბრდობის კომპლექსის მესვეურთა ინიციატივაზე, თბილისის საქარხნო რაიონის სპორტული კოოპერატივის პირველ ნაბიჯებზე, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების პერსპექტივაზე, რესპუბლიკის სპორტსკოლებში ჩატარებული სახელმწიფო მიღების შედეგებზე.

„ჩატეხილი ხიდის“ სიღრმეში

„ოთარაანთ ქვრივი“ — ჟუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი

წარმოდგენის დასასრულს, „მუშლი მუხასას“ ჰანგზე ილია ჭავჭავაძის დიდი სურათი რომ ჩამოეშვა, არავისთვის ყოფილა მოულოდნელი: სპექტაკლი „ოთარაანთ ქვრივი“ სიიუბილეოა... მაგრამ ეს ფინალი მარტოოდენ ამოთეიოზური წერტილი როდია: წარმოდგენისა და ინსცენირების ავტორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა ქართული ლიტერატურის ამ უშნიშვნელოვანეს ქმნილებაში ილიასივე სხვა მოტივების მომარჯვებით განსაკუთრებით გაამძაფრა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ბელადისა და სოციალურ უკეთესმართველობისთვის შეურიგებელი მებრძოლის იდეოლოგია და ჩატეხილი ხიდის პრობლემების სიღრმეში წვდომისას ლაკონიურად ჩართო თერგდალეულთა ლიდერის სხივმოსილი ხატება — სიბრძნე მისი ჰუმანიზმისა, რომელიც მთელ წარმოდგენას გასდევს. „ოთარაანთ ქვრივის“ ეს ეროვნული კომპოზიციური გაფართოება მისი ავტორისივე მოტივებით სრული დრამატურგიული კონცენტრირებით მოხდა და ამას არ მისცემია რაიმე „მონტაჟური“ ელფერი.

...პირველად კი ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ქართული საბჭოთა თეატრის სცენაზე ამეტყველდა და დამკვიდრდა მხოლოდ 1935 წლიდან. სწორედ „ჩატეხილი ხიდი“ ერქვა იმ პირველ ილიასეულ სპექტაკლს, მარჯანიშვილის ოიატრში რომ დიდგა. იგი დიდი რეჟისორებით იყო ინსცენირებული ალვა დადიანის მიერ და წარმოადგენდა ვრცელ მონტაჟს — პანორამას დიდი მწერლის ქმნილებათაგან.

გამოჩენილი რეჟისორის ვასო ყუშიტაშვილის თავკაცობით ილიას მხატვრული სახეები ერთობ მჩქეფარე სცენურ ცხოვრებას ეიარნენ. „ჩატეხილი ხიდი“ დიდი აქტიორული მონაპოვრებით აღიბეჭდა. საკმარისია გავიხსენოთ ქართული სამსახიობო ხელოვნების ისეთი შედევრი, როგორიც ვასო გომიაშვილის ლუარსაბი იყო. ღირსეულ პარტნიორობას უწევდა მას ციცილია წულუკიძე.

მკაცრი სისადავითა და სიღრმით, შინაგანი მონუმენტურობით არის აღბეჭდილი ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში დაიგმანული „ოთარაანთ ქვრივი“, რომელიც მნიშვნელოვან მოვლენად ჩაიწერება ილიასეული თეატრის ისტორიაში. მისი სიახლე თეატრალური ფორმების ნოვაციებით არ გამოხატულა — გამოჩენილმა რეჟისორმა უფრო კლასიკურ, აკადემიურ სტილს მიმართა და ღრმად განფენილი ქართული სპექტაკლი შექმნა. მის მკაფიოდ გამოკვეთილ, „მრავალსტიკვიობას“ მოკლებულ სცენურ ფორმებში ბუნებრივი სარბელი მიეცა ილიას გმირების შინაგან ცხოვრებას, მრავლისმეტყველ ქვეტექსტიან დიალოგებს, კონტრასტებს. ჩატეხილი ხიდის სოციალურ ეთიკური პრობლემა მკვეთრად გასდევს მთელ წარმოდგენას.

რეჟისორმა მთლიანად უარყო ქართულ პუბლიცისტიკაში კარგა ხნიდან გავრცელებული, საბოლოოდ — ვულგარულად ქცეული და დრამოშეშლილი კონსეფცია არჩილის, როგორც უმოქმედო ინტელიგენტის, თაობაზე. ვ. ტაბლიაშვილის სპექტაკლში არჩილის მთელი ხაზი „თერგდალეულთა“ იდეოლოგიის მკაფიო გამომხატველია, იგი ცხოვრების სიბრძნეს, ცოცხალ ადამიანებზე დაკვირვებას ეყრდნობა, და ეს ხდება ყველგვარი რეტორიკის გარეშე — სცენაზე „უტყუარი“ დამიანური ვნებათღელვაა.

XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენტის დახვეწილი იერით, მკაფიოდ გააზრებული მეკვრმეტყველებით, გულღიანი ურთიერთობებითა და დაკვირვებებით აღინიშნება თემურ თავაძის მიერ განსახიერებული არჩილი, რომლის მთელ მოქმედებაში დაბეჯითებით ყალიბდება „თერგდალეულთა“ ლიდერის იდეოლოგია.

როგორც უკვე ითქვა, სპექტაკლში ჩართულია ილიას სხვა ქმნილებათა მომენტები, სახელდობრ, ფრაგმენტი „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენებიდან“, რაც აზრობრივად და დრამატურგიულად ორგანული აღმოჩნდა: მასში თავისი ადგილი იპოვა გიორგის გასამართლებამ და მისმა ზნეობრივმა გამარჯვებამ ომარაშვილის მოჯამაგირის ჩივილთან დაკავშირებით. ხოლო გიორგის წარმოჩენას აღნიშნული სცენის პერსონაჟების, სახელდობრ, ამპარტავანი და თავდაჯერებული ქვრივი აზნაურიშვილისა და სოციალური, ამასთან სატირული ტიპაჟის კოლორიტულ ფონზე საგანგებო ელვარება მიეცა და თვით გიორგის კაცური თავდაჭერილობის სიღრმეც თეატრალურად ხილვადი გახდა. ეს „ჩართული“ სცენა კი მკვიდრად ზის „ოთარაანთ ქვრივის“ კომპოზიციურ ჩარჩოებში. ასევეა ჩართული გულმართალი, ბრძენი მოხევის ეპიზოდი „მგზავრის წერილებიდან“ — ამჟერად მისი დიალოგი არჩილთან. აქ არჩილი თვით ილიას როლშია და მოხევის სიტყვებით, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, ურთიერთგადაჭდობილია ეროვნული და სოციალური ტკივილები. სწორედ ამ ფონზე, ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სახით მძლავრად აქტივიზებულია ერის ენერგიის პერსპექტივა.



„ოთარაანთ ქვრივი“ — ჟუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი

„...ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედაქალაქს“, ფიდელისა და უმაგრეს ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“. გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი — „გუთნის დედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსწონებელი. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით!... ქალი... ბეპელსა და არა ფუტკარი. ქალისათვის ეს წუთისოფელი სასეირნო წალკოტია, დედაკაცისათვის — სახლია პატიოსანი შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, ძნაა სალეწი, სარბიელია საომარი ჭაუთია და მარჯვენითა. ქალი უფარხმალო დედაკაცია, დედაკაცი ფარხმლიანი ქალია და სად მოგვლენ ერთმანეთთან!“... მრავალგზისი განმარტება მიუღია ოთარაანთ ქვრივის საოცარ სახეს, მაგრამ ალბათ არაფერი სწვდება მის ფესვებს ისეთი სიღრმით, როგორც თვით ილიას აქვს ახსნილი თავის ესეისტურ წერილში „პატარა საუბარი“; „ოთარაანთ ქვრივის“ შემდეგ რომ დაწერა. საფიქრებელია, ალბათ რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი ილიას ამ ნააზრევს თუ ეყრდნობოდა, ოთარაანთ ქვრივისა და კესოს სცენური სახეები რომ გამოკვეთა და დაუპირისპირა თავის დადგმაში.

ძალზე რთულია თვით ოთარაანთ ქვრივის თეატრალური განსახიერების პრობლემა. არცთუ იშვიათად წაბორძიკებულან მსახიობები, ილიას მოთხრობის თუნდაც ერთ თავს „მხილებაა თუ კაცნიერება“ როცა მისდგომიან. უპირველესი საშიშრება აქ ამ მომენტის გაუბრალოება ყოფილა მუდამ, რაც თავის კვალსაც ავლებდა. ევა ხუტუნაშვილის ოთარაანთ ქვრივის უპირველესი ნიშანია სიღრმე სიწრფელისა და ძალა სადინჯისა, და მისი მრისხანე აფეთქებებიც ამის ნაყოფია. მდიდარი და მრავალწახნაგოვანი მეცოტებმრის ხმა, სიღრმისეულად მკაფიო, მძაფრი ემოციური კონტრასტებით სავსე მეტყველება, შინაგანი მონუმენტურობა, ქმედითი, სწორედ ილიასეული „დედაკაცის“ სცენურობა! ვფიქრობთ, ამ თვისებებით ევა ხუტუნაშვილის ოთარაანთ ქვრივი ილიასეული თეატრის დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარია. მსხვილი კონტრასტული პლასტებით არის გამოყოფილი მისი მოქმედების ხაზი — სოფლის უქნარა დედაკაცებთან, მშრომელ გლეხებთან, სოსია მეწისქვილესთან, დავრდომილ მათხოვართან, სადაც დაუნდობლობა და მკაცრი სათნოება ღრმა ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით ცვლიან ერთმანეთს. მაინც მისი მწვრვალია გიორგისთან საბედისწერო სცენა თავების „ჯავრი დედისა“ და „გასტეხს ქვასაცა მაგარსა“ მიხედვით, სადაც დედის დაოკებული წუხილი და ბოლოს მისი გმნვის ამოხეთქვა უტყუარი სახალასთა და მგზნებარებით არის აღბეჭდილი.

მშვენიერი ეკოსა მაია სამანიშვილი — სიტყვიერი მხარე და რაფინირებული პლასტიკა ეოცახალი უშუალობით არის შერწყმული მასში, ხოლო მის სიფაქიზესა და „ცისფერ“ სიმშვიდეში სულიერი გარდატეხის შორეული პერსპექტივაც შეიგრძნობა. სრული სიწრფელით, მკაცრი თავდაჭერილობით, გრძნობებში უტყვი, ილიასეული ნიშნებით სწვდება გიორგისეულ სიღრმეს გიზო ღელეყვა. სიკვდილისწინა აღსარებამდე, მხოლოდ ერთხელ მყღავნდება დასანანად მისი საიდუმლო, როდესაც გიორგი თეთრი მარმარილოს კიბეზე ამავალ კესოს თვალს ააყოლებს და მარტოდ დარჩენილი თვალებზე ხელებს აიფარებს.

მთავარ გმირთა მოქმედება გარემოცულია ცოცხალი, კოლორიტული ანტურაჟით, სპექტაკლში ღრმად შთამბეჭდავი, სფუძვლიანი წვლილი შეაქვს ორ ეპიზოდურ სცენას. ერთში მონუმენტური, უტყვი მრავალმნიშვნელობით, ტრაგიკული ქვეტექსტით ასახიერებს მათხოვრის როლს ერემო სვანაძე, ხოლო მეორეში ანზორ ხერხაძის მოხეკე ლელთ ღუნია მძაფრი კოლორატულობით უერთდება ერის ენერგიის გამომბატველ ძირითად ბირთვს. ამ მართალ სახეთა შორის არის გივი ბერძენის სოსია მეწისქვილე.

რეჟისორასთან სრულ ჰარმონიაშია და მარტოოდენ დედაჯარს ემსახურება ჯეირან ფაჩუაშვილის მხატვრობა — ლაკონიური და სახიერი, კახეთის მთების პეიზაჟის მუდმივი ფონით, კაკლის ხითა და ტყრუშული ღობეთ, რომელთანაც მთელი სცენები წარიმართება; ოთარაანთ ქვრივის დედაბოძიანი დარბაზი, არჩილისა და კესოს კარიდამი — მისი წინანდლისეული — ჭავჭავაძისეული სასახლის ელვარებით... რეჟისორი და მხატვარი ძუნწი ხერხებით ქმნიან თვით ფსიქოლოგიურ ეფექტებს, — ასე, მხოლოდ ერთნელ სიღრმეში გაიელვებს ძნა, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდება. ასეთივე ორგანული ნაწილია და მკვეთრ ემოციურ-ფსიქოლოგიურ ფუნქციას ასრულებს თოთა მილორავას მუსიკა, სადაც გამოიყოფა ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის დინჯი და სევდიანი მოტივები, კესოსთან დაკავშირებული შუმანისა და ზოპენის მელოდიები, ქართველი ხალხის უკვდავების სიმბოლო „მუშლი მუხასა“...

იმედია, ამ ღირსეულ საიუბილეო წარმოდგენას მალე იხილავს თბილისელი მაყურებელიც.

ანტონ ფულუკიძე.

გუშინ, დღეს, ხვალ

ტყიბულის ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში

ყველაზე კარგი

მაჩვენებლები მოიპოვეს სოფელ მუხურის მეცხოველეებმა. მათ მიმდინარე წლის რვა თვეში დამამზადებელ პუნქტებში მიიტანეს 170 ტონა რძე —12 ტონით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. განსაკუთრებით კარგად გაისარჯა თამარ კირკიტაძე, რომელმაც ორი ტონა რძე მოწველა.

შეჯიბრების გამარჯვებულად აღიარეს აგრეთვე სოფიკო ბარბაქაძე, გუგული ფოცხვერაშვილი, ელენე ვარდოსანიძე და ფოტინე არსენიშვილი. თითოეულმა მათგანმა მიიღო 600-700 კილოგრამით მეტი რძე, ვიდრე შარშან შესაბამის პერიოდში.

საუკეთესო მწველავის წოდების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრება გრძელდება.

▼▼

საქართველო მევენახეობის ქვეყანაა. ამ მადლიან მიწაზე ხუთასამდე ჯიშის ვაზი ხარობს. ვაზის უნიკალური ჯიშების აღდგენა-შენარჩუნებას ისახავს მიზნად

მევენახის სახლი

რომელიც საჩხერეში გაიხსნა. საფერავი, ქართული არგვეთული, ძელშავი, რკო — აი არასრული ნუსხა ვაზის ჯიშებისა, რომლებიც სანერგეებიდან ვენახის გასაშენებლად დამუშავებულ ნაკვეთებში გადაინაცვლებენ.

მევენახის სახლში მოეწყობა შეხვედრები სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან, საკოლმეურნეო რომის ვეტერანებთან, სტუმრებთან, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ გადაიღონ სახსონელ მევენახეთა გამოცდილება ყურძნის უხვი მოსავლის მოწევისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების გადიდებისათვის.

▼▼

თავისი ორმოცდამეცხრე სეზონი გახსნა თბილისის

სასწავლო თეატრი

რომელმაც მორიგი სეზონი გახსნა და წარმოადგინა რაფიელ ერისთავის „ჯერ დაიბოცნენ, მერე იქორწინეს“. სპექტაკლი დადგა გიორგი მარგველაშვილმა. მონაწილეობენ სამსახიობო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტები. კურსის ხელმძღვანელია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ თუმანიშვილი.

ეს სპექტაკლი დღეს და ხვალაც გაიმართება.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისა და საქინფორმის მასალები ამ რუბრიკისათვის მოამზადა **ბ. ბახტურიძემ.**

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეცამეტე ტურის შემდეგ კვლავ ლიდერთა სამეულში არიან ოდესის „ჩერნომორეცი“ — 50 ქულა, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 47 და რიგის „დუუგავა“ — 42. ამ შეჯიბრების მონაწილე საქართველოს კოლექტივები — ბათუმის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ შესაბამისად მეთერთმეტე და ოცდამეერთე ადგილებზე არიან. პირველმა 29 ქულა დაგროვა, მეორემ — 24.

ჩოგბურთი. აშშ-ს ღია ჩემპიონატის ბოლო დღეს ი. ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) ფინალური შეხვედრა მოუგო მ. ვილანდერს (შვეიცია) ანგარიშით 6:7, 6:0, 7:6, 6:4 და უძლიერესის წოდებას დაეუფლა. ქალთა ერთეულების თანრიგში კი გამარჯვება მოიპოვა მ. ნავრატილოვამ (აშშ). ფინალში მან შ. გრაფი (გფრ) დაამარცხა — 7:6, 6:1. ქალთა წყვილების შორის უძლიერესნი იყვნენ მ. ნავრატილოვა და პ. შრაიბერი (ორივე — აშშ), რომელთაც გადამწყვეტი მატჩი მოუგეს კ. ჯორდანს (აშშ) და ე. სმაილს (ავსტრალია) — 5:7, 6:4, 6:2. ნავრატილოვამ ე. სანჩესთან (ესპანეთი) შერეულ წყვილთა თანრიგშიც იმარჯვა, ხოლო ვაკთა წყვილებს შორის ყველას აჯობეს ს. ედბერგმა და ა. იარიდმა (ორივე — შვეიცია).

დარჩა სამი პარტია

კლიმოვა-გაფრინდაშვილი ი ს პარტიით დამთავრდა გათამაშების მეორე წრე. წინა ტურებშიც ჩანდა, რომ კლიმოვა როგორღაც „უხერხულად“ გრძნობს თავს, როცა სიცილიური დაცვის წინააღმდეგ უწდება თამაში. ამიტომ გაფრინდაშვილმა აირჩია ამ დაცვის ე. წ. „ჩელიაბინსკური ვარიანტი“, რომელსაც რუსი ბრძოლისკენ მივყავართ და სადაც მეტოქეებმა არაერთი კონკრეტული საკითხი უნდა გადაწყვიტონ. კლიმოვა ერთხანს „გულდაჯერებით“ თამაშობდა. ამიტომ გაფრინდაშვილმა პაიკის შეწირვით გადაწყვიტა მის წინაშე დამატებითი პრობლემების დაყენება. ჩეხოსლოვაკიელმა მიიღო პაიკის შეწირვა, მაგრამ შემდეგ დიდი შეცდომა მოუვიდა, დათმო ფიგურა იმ იმედით, რომ მალე დაიბრუნებდა და თამაშს უკეთეს ენდშპილში გადაიყვანდა. სინამდვილეში კი გაფრინდაშვილი ლამაზი კომბინაციით ინარჩუნებდა ამ ფიგურას და თამაშის ბედიც გადაწყვეტილი იყო. ამიტომ კლიმოვას დანებება მოუხდა.

თუმცა გათამაშების **ორმა წრემ უკვე გამოავლინა პრეტენდენტია მატჩ-ტურნირის საგზურების მფლობელები გაფრინდაშვილი და ლევიტინა,** მაგრამ უკანასკნელი, მესამე წრე მაინც მოეწყობა. დღეს მორიგ პარტიაში ერთმანეთს ლევიტინა და გაფრინდაშვილი ხვდებიან. სამი პარტიაც და ეს დამატებითი მატჩ-ტურნირი დამთავრდება.

კლიმოვა — გაფრინდაშვილი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ∂f3 d6 3. d4 cd 4. ∂:d4 ∂f6 5. ∂c3 ∂c6 6. ∂e3 e5 7. ∂db5 a6 8. ∂a3 b5 9. ∂d5 ∂:d5 10. ed ∂e7 11. c4 ∂f5 12. ∂d2 ∂e7 13. ∂d3 0-0 14. 0-0 ∂d4 15. cb ∂b7 16. ba ∂:d5 17. ∂c2 e4 18. ∂b4 ed 19. ∂:d5 ∂g5 20. ∂:g5 ლ:g5 21. ლ:d8 ლ:d5 22. ∂fd1 ∂fe8 23. f3. ლc5 24. b4 ლ:b4. თეორები დანებდნენ.

ბ. ბაგრეკელი.

ბარემო ბუნება ხომ სიცოცხლის დედა და ჩვენი მასაზრდოებელია. ბუნებას — ამ უდიდეს და არსებობისათვის აუცილებელ ფენომენს — ხალხი არასოდეს არ აკლებდა ზრუნვას. ახლა კი მას საბჭოთა კანონმდებლობა იცავს. მაგრამ როორ ხორციელდება ეს უღარესად სახალხო მნიშვნელობის კანონმდებლობა? სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს სსრ პროკურატურის ეს მიმართვა:

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოს პროკურატურა საერთო ზედამხედველობის წესით ამოწმებს ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობას.

შემოწმებაში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად რესპუბლიკის პროკურატურა სთხოვს ყველა მოქალაქეს აქტიური მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ შემოწმებაში და ერთ თვეში შეგვატყობინოს ამ საფრეში მისთვის ცნობილი კანონიერების დარღვევის ფაქტები. სახელდობრ წარმოება-დაწესებულებების, ფაბრიკა-ქარხნების, ცალკეული მოქალაქეების მიერ გარემოს დანაგვიანების, მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების გაბინძურების, უკანონო ნადირობის, თევზჭერისა და ტყის გაჩეხვის შემთხვევებში.

თქვენს სიგნალებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით რესპუბლიკის პროკურატურაში შექმნილია სადისპეტჩერო ცენტრი.

გთხოვთ, შეტყობინებები და სიგნალები მოგვაწოდოთ წერილობით (თბილისი, ათარბეგოვის 32, საქართველოს სსრ პროკურატურა) ან ტელეფონით — 93-24-85; 93-44-61.

შეგიძლიათ აგრეთვე თქვენი მოსაზრებები მისწეროთ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას. პროკურატურაში და რედაქციაში გამოგზავნილ კონვერტზე გთხოვთ დააწეროთ გრიფი „ბუნება“.

შემოწმების შედეგებსა და ღონისძიებებს გავაცნობთ საზოგადოებრიობას.

საქართველოს პროკურატურა წინასწარ უხდის მადლობას ყველას თანამშრომლობისათვის.

საქართველოს სსრ პროკურატურა.

საიდან, ვის ან რის ხარჯზე?!..

„კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, რომ თბილისში მიმდინარეობს მართლწესრიგის განმტკიცების ერთთვიური. ყოველდღიურად ჯამდება მისი მიმდინარეობა. პრესა, ტელევიზია, რადიო სისტემატურად აშუქებენ ამ თემას. იმ მასალებიდან, რომლებსაც რედაქცია იღებს, ჩვენი ყურადღება მიიქცია ცნობამ იმის შესახებ, თუ სპეკულიანტები რა ფასად ჰყიდიან იმპორტულ სიგარეტებს. **ერთი კოლოფი, რომელშიაც 20 ღერი სიგარეტია „შავ ბაზარზე“ ღირს 8-10 მანეთი.** შეუძლებელია ამ ცნობამ არ დაგვაფიქროს. მედლის ერთი მხარეა სპეკულიანტი და მისი ანონიმურნაალმდეგო მოქმედება. ეს სამართალდამცავი ორგანოების საქმეა, რომელსაც ისინი თავს გაართმევენ. მაგრამ ამჯერად თქვენი ყურადღება გვინდა მივაქციოთ მეორე მხარეს — ვინ ყიდულობს ამ „ცეცხლის“ ფასად თამბაქოს, რა შემოსავალი უნდა ჰქონდეს კაცს, რომელსაც ასე ხელგაშლილად შეუძლია ფანტოს ამდენი ფული.

გასაგებია, რომ საშუალო განთლების მქონე **19 წლის (!) ბულალტერს ხვიჩა ბონდოს ძე გახარიას, რომელიც ჩხოროწყუს მეფრინველეობის ფაბრიკაში მუშაობს,** ეტყობა აქვს იმდენი, რომ თავს უფლებას აძლევს არ დაინაზოს **პატიოსანი გზით ნაშოვნი ფული.**

გასაგებია ისიც, რომ **30 წლის გიორგი ირაკლის ძე ხმალაძეს, საქსოფლტექნიკის ქარხანა „ელექტრომონტაჟის“** ელექტრომონტიორს იმდენი გამომუშავება აქვს, რომ შეუძლია ერთ კოლოფში 10 მანეთი გადაიხადოს და თავის ოჯახს ბიუჯეტს არაფერი დააკლოს.

მაგრამ შეუძლებელია არ გაგიკვირდეს ის, თუ საიდან უნდა ჰქონდეს ორი კოლოფი იმპორტული სიგარეტის შესაძენად 16 მანეთი **15 წლის შოთა ზურაბის ძე გელაშვილს, კომკავშირელს, თბილისის 180-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეს, რომელიც ცხოვრობს თბილისში, დიღმის მასივში, მეო